# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 დეკემბერი 2005 №283 (2606) ფასი 50 თეთრი



## ევრო 2008: საქართველო მეექვსეში

3



## ვის მოხსნიან პირველს?

ფერგიუსონს დღეები უთვლიან

8



## სანამ სპორტის დედოფალს ქერი თავზე დაქცევია...

14

# მსოფლიო განაჩენს ელის




AFP ფოტოქრონიკა

დღეს გერმანიაში, ლაიპციგის სავაჭრო ცენტრ „ნოიე მესეში“ მსოფლიო წესრიგი დამყარდება — გერმანია 2006-ის ოცდათორმეტ მონაწილეს რვა ოთხგუნდიან ჯგუფად გაანაწილებენ. დადგინდება მუნდიალის კალენდარი და თამაშების მასპინძელი სარბიელები. ცერემონიალის ანონსს გთავაზობთ მეხუთე გვერდზე, აქ კი შეგახსენებთ, რომ შოუს წარუძღვებიან გერმანელი სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი, ტელეჟურნალისტი რაინჰოლდ ბეკმანი და ფიფას კომუნიკაციათა დირექტორი მარკუს ციგლერი.

# მოულოდნელი სტოპ-კრანი

## ვისაც ლოკომოტივი არ ეტკინოს...




ბადრი ქეთილაძის ფოტო



# ევრო 2008: საქართველო მეექვსეში დამტკიცდა

**უეფამ** ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლისთვის გუნდების განთესვა ოფიციალურად დაამტკიცა. შეგახსენებთ, რომ ევროპული ფეხბურთის მამებმა გუნდები შვიდ კალათში დაახლოებით ორი თვის წინ გადაანაწილეს, თუმცა ამას ბეჭედი ახლა დაუსვეს.

მოკლედ, გადაწყვეტილი ამბავია — საქართველო მეექვსე კალათაშია მაკედონიასთან, ბელარუსთან, სომხეთთან, ჩრდილოეთ ირლანდიასთან, კვიპროსთან და მოლდოვასთან ერთად.

ავსტრია და შვეიცარია, როგორც ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები, შესარჩევ ეტაპზე არ ითამაშებენ.

აქვე ტურნირის რეგლამენტზეც — შეიქმნება ერთი რვაგუნდიანი და ექვსი შვიდგუნდიანი ჯგუფი, საიდანაც ორ-ორი საუკეთესო ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე გავა ფინალურ ეტაპზე, წილისყრა 27 იანვარს შვეიცარიის ქალაქ მონტროში ჩატარდება და თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

**ბახა შალამბერიძე**

**I კალათა**

საბერძნეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, ინგლისი, ჩეხეთი, საფრანგეთი, შვედეთი

**II კალათა**

გერმანია, ხორვატია, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ესპანეთი, რუმინეთი

**III კალათა**

სერბეთი, რუსეთი, დანია, ნორვეგია, ბულგარეთი, უკრაინა, სლოვაკეთი

**IV კალათა**

ბოსნია, ირლანდია, ბელგია, ლატვია, ისრაელი, შოტლანდია, სლოვენია

**V კალათა**

უნგრეთი, ფინეთი, ესტონეთი, უელსი, ლიტვა, ალბანეთი, ისლანდია

**VI კალათა**

**საქართველო**, მაკედონია, ბელარუსი, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია, კვიპროსი, მოლდოვა

**VII კალათა**

ლიხტენშტაინი, აზერბაიჯანი, ანდორა, მალტა, ფარერები, ყაზახეთი, ლუქსემბურგი

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა XXIII ტური**

ავსტრია 3:0 რიდი
ტიროლი 4:0 ადმირა
გრაცერი 3:0 მატერსბურგი
პაშინგი 3:1 შტურმი

## იტალია

**თასის მერვედფინალი პირველი მატჩები**

ლაციო 2:0 ჩიტადელა
ნაპოლი 0:3 რომა
კალიარი 1:1 სამპდორია

## როიალ ლიგა

**A ჯგუფი. III ტური**

სტარტი 1:1 მიდტიულანდი
ჰამარბი 0:0 ვოლერენგა

**B ჯგუფი. III ტური**

კალმარი 0:2 ლილესტრიომი
კოპენჰაგენი 1:1 ბრონდბიუ

**C ჯგუფი. III ტური**

გიოტებორგი 3:3 ოლბორგი
ლინი 1:2 იურგორდენი

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XIX ტური**

მეტალურგი (დ) 2:0 ვორსკლა
ჩერნომორეცი 1:2 ილიჩევეცი

# მიხეილ აშვეთიამ რკინიგზიდან გადაუხვია



**მიხეილ აშვეთია** მოსკოვის „ლოკომოტივში" არ დაბრუნდება — ეს უკვე გადაწყვეტილია და რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა ამის შესახებ გუშინ საჯაროდ განაცხადა.

აშვეთიას ორიოდ კვირის წინ დაუმთავრდა „როსტოვში" განათხოვრების ვადა და ჯერაც „ლოკომოტივის" საკუთრებაა, მაგრამ ახალი კლუბის მოძიება მოუწევს.

მიხოთი რუსული და ჰოლანდიური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. თავად ფეხბურთელს რუსეთში კი სურს დარჩენა, თუმცა არა „როსტოვში", რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობს აშვეთიას გადასაბირებლად.

**ლუკა თალაკვაძე**

# თანამეგობრობა უიაშვილოდ



**თბილისის** „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, 20 წლის თავდამსხმელი სანდრო იაშვილი გუნდს იანვარში თანამეგობრობის თასის გათამაშებისთვის მოსკოვში ვერ გაჰყვება.

იაშვილი მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში, „ლოკომოტივთან" მატჩში დაშავდა — საზარდული დაუზიანდა. სანდრომ კი იმკურნალა, მაგრამ მტკივანი ფეხი ბოლომდე მაინც ვერ მოირჩინა და ამ დღეებში ოპერაციას გაიკეთებს.

ნაოპერაციები იაშვილი სრული დატვირთვით ვარჯიშს, ალბათ, მაშინ შეძლებს, როცა „დინამო" მოსკოვიდან დაბრუნდება.

**ნიკა ჟორჟაძე**

# ნუკრი რევიშვილი რუბინში პირველი წერია

## ქინქლაძემ პრესას გაჩუმება ურჩია

**ყაზანის** „რუბინის" მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა გასული სეზონი შეაჯამა, ბევრ ფეხბურთელს პლუს-მინუსი ჩამოუწერა და გიორგი ქინქლაძეზე თქვა, მისმა გონივრულმა პასებმა დიდწილად განაპირობა ჩვენი უეფას თასზე გასვლა, სწორედ გიორგის მეშვეობით დავიწყეთ ახალი კომბინაციების აწყობაო.

ბერდიევი ქინქლაძის შესაძლო წასვლაზეც ამბობს: „ჩვენ ქინქლაძესთან კონტრაქტის გაგრძელება გვინდა და, რამდენადაც ვიცი, არც გიორგია უარზე. მან პრესას მიმართა თხოვნით, ჩემ წასვლა-დარჩენაზე ასე ხშირად ნუ ილაპარაკებთო".

საინტერესო და უცნაური კი არის გიორგის თხოვნა, მაგრამ საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლიდერმა ამას წინათ ჩვენც გვითხრა, უფრო „რუბინში" დავრჩები, ვიდრე წავალო.

ბერდიევმა ისიც თქვა, რამდენიმე ამპლუაში გვჭირდება ახალი ფეხბურთელი, გვარებს ვერ გეტყვით, გარდა ერთისა — საქართველოს ნაკრებს 18 წლის მეკარე ნუკრი რევიშვილი გვინდაო. ის ფაქტი, რომ შესაძლო ახალწვეულებიდან მხოლოდ რევიშვილის გვარი დასახელდა, წესით, ბევრს უნდა ნიშნავდეს.

ნუკრი ამჟამად ქუთაისის „ტორპედოში" ვარჯიშობს და თავის მენეჯერ მამუკა ჯულელისგან ელის ცნობებს: „როგორც ვიცი, „რუბინის" გარდა, კიდევ რამდენიმე რუსულ და უკრაინულ გუნდზეა ლაპარაკი. პირადად მე არც ერთ კლუბთან არ მისაუბრია. მამუკა ჯულელს აბარია ეს საქმე და მის სიტყვას ბოლომდე ვენდობი. ქუთაისიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ უცხოეთში თამაში მომიწევს, ისე კი, მირჩევნია, „ტორპედოში" დავრჩე".

**ილია ნანობაშვილი**





შესაძლოა, გიორგი ქინქლაძემ და ნუკრი რევიშვილმა ერთად ითამაშონ

# რათა ათი? მაშ, რამდენი? თექვსმეტი?

მოდით, გავიხსენოთ სეზონი, რომლის დაწყების წინაც ეჭვი არ გვღრღნიდა — ყველა მონაწილე მიაწევს თუ ვერა გაზაფხულამდე.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ასეთ სეზონს ვერ ვიხსენებთ, უფრო შორეულ წარსულში დაბრუნებას კი აზრი აღარ აქვს.

თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, ჩემპიონატი 10-გუნდიანია, თორმეტიანი თუ თექვსმეტიანი.

გნებავთ, გავიხსენოთ: თავის დროზე 16-გუნდა თორმეტამდე სწორედ იმიტომ შემცირდა, 16 წელგამართული გუნდი რომ არ გვყავდა.

მერე აღმოჩნდა, რომ 12 წელგამართული კლუბიც არ გვყოლია და ათამდე ჩამოვედით.

წინა, 10-გუნდა სეზონში კი, გეხსომებათ, სულ მცირე, სამ გუნდს ჰქონდა ძალიან სერიოზული პრობლემები.

გუშინ ოფიციალურად გაცხადდა ბოლო დღეებში აქა-იქ თქმული: „ლოკომოტივი“ იშლებაო. როგორ და რანაირად, ამავე გვერდში გვიწერია და სილქროუდულ პრობლემებზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. სხვებზე ვთქვათ.

გორში, უკვე არაერთი წელია, ერთი გუნდის შენახვა უჭირდათ, ამ სეზონში კი ორი გაუხდათ მისახედი. ბუნებრივია, ვერ მიხედეს და ორივე დაშლის პირასაა.

ჰო, ამასწინათ გაზეთში ერთი ასეთი ინფორმაცია ეწერა: შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა „დილას“ სპონსორებს მოსთხოვა, გუნდს საჭირო ფული დროულად მიეცითო.

რომ არ მისცეს, ერთია და, უარესი ის გახლავთ, სპონსორს მაინცდამაინც ზემოდან ბრძანება რომ სჭირდება. ეგებ ვინმემ აგვიხსნას, ორგანიზაციას ჯიბეში ხელის ჩაყოფა ჭირის დღესავით თუ სძულს, სპონსორი რატომ ჰქვია.

პირველ წრეში 15 ტური იყო და, თხუთმეტივეს მერე „სოხუმის“ მწვრთნელი გოჩა ჟორჟოლიანი პრესკონფერენციაზე ერთსა და იმავეს ამბობდა, როგორი დაფინანსებაც გვაქვს, შედეგსაც ისეთს ვაჩვენებთო. წრის დასრულების მერე კი კლუბმა თითქმის ყველა გამოცდილი ფეხბურთელი, ფაქტობრივად, გაათავისუფლა.

„სპარტაკს“ ფინანსური პრობლემები პირველ ლიგაშიც ჰქონდა, უმაღლესში გადასვლის მერე კი ეს პრობლემები კიდევ უფრო გამოიკვეთა. მართალია, სპარტაკელები სხვებზე ნაკლებად წუწუნებენ, მაგრამ ფაქტია, რომ უჭირთ.

უჭირს „ტორპედოსაც“. ქუთაისელები შემადგენლობას კი ინარჩუნებენ, მაგრამ არ ეტყობათ, რომ გაძლიერების საშუალება აქვთ. გაიხსენეთ, რამდენგზის ჩემპიონია „ტორპედო“ და მერე განსაჯეთ, უნდა იყოს ასეთ დღეში თუ არა.

გაურკვევლობაა „სიონშიც“. ერთია, რომ ბოლნისიდან ამ დღეებში ერთბაშად შვიდი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა და მეორეა, რომ „მადნეულის“ ახალი მეპატრონე გუნდს რას უპირებს, ვერაფრით გავიგეთ.

არ წუწუნებს „კახეთიც“, მაგრამ აქვს ამ გუნდს გაძლიერების შესაძლებლობა? სამწუხაროდ, არა. თუმცა ქართულ რეალობაში გუნდი რომ არ იშლება, ეს უკვე მიღწევად ითვლება.

„ლოკომოტივი“, „ცხინვალი“, „დილა“, „სოხუმი“ — ეს უკიდურესად ცუდ დღეში ჩავარდნილები. ერთი ამდენიც საეჭვო პერსპექტივიანი ან გაურკვევლობაში მყოფნი. ჰოდა, რა დაგვრჩა? უფრო სწორად, რამდენი გუნდი დაგვრჩა?

არადა, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირება გამოსავალი რომ არ არის, ალბათ, თავში მოყვანილი ფაქტებითაც დასტურდება.

**კოტე კეკელია**




# მე ის ლოკომოტივი აღარა ვარ
## კლუბი დარჩა, გუნდი გაქრა

თბილისის „ლოკომოტივისგან“ სახელიღა დარჩა. მორჩა, რკინიგზელებს ყველა ფეხბურთელი შემოეცალათ და ვინძლო აქამდე საჩემპიონოდ მებრძოლმა გუნდმა სამადლოდ, ჭაბუკების ამარა ჩაამთავროს ჩემპიონატი, მერე კი... არც მერე ჩანს შუქი. „ლოკომოტივის“ პატრონმა „სილქ როუდმა“ გუნდის შენახვა აღარ ისურვა. გუშინ ვწერდით, რომ „ლოკომოტივიდან“ წასვლას კლუბის გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი აპირებდა და ასეც მოხდა. არა მარტო „ლოკომოტივიდან“ — ყიფიანი ქართულ ფეხბურთში თავის თავს ველარ ხედავს. გუშინ მან პრესკონფერენცია მოაწყო და სათქმელიც ნაღვლიანმა თქვა...



— „სილქ როუდი“ წელიწადნახევარი აფინანსებდა „ლოკომოტივს“ და ამ კომპანიამ გათვალისწინებულზე მეტი ხარჯი გასწია კლუბისთვის, თუმცა ჩვენ არ ვცხოვრობთ დალაგებულ ქვეყანაში და ვადასტურებ, „სილქ როუდის“ გეგმაში აღარ შედის „ლოკომოტივის“ დღევანდელი გუნდის დაფინანსება, კომპანია ამიერიდან ახალგაზრდებზე გააკეთებს აქცენტს.

— მე შპს „ლოკომოტივის“ დირექტორი ვარ და ხელახლა ახალი გუნდის გაკეთება ჩემთვის მიუღებელია. აღარ მსურს, ყველაფერი თავიდან დავიწყო, უკვე მესამედ. „სილქ როუდს“ მადლობას ვუხდი, რომ წლინახევრის წინ ასევე დაშლილი გუნდი დააყენეს ფეხზე. მე უბედნიერესი კაცი ვიყავი, როცა მამაჩემის სახელობის თასი ავიღეთ, ეს ჩემი მიზანი იყო... ჩემპიონობაც მინდოდა, მაგრამ ეს ველარ გამოვა.

— სახელმწიფო მხარდაჭერა თუ არ იქნება, კარგი გუნდის გაკეთება შეუძლებელია. არ მინდა, სხვა კლუბებსაც „ლოკომოტივივით“ დაემართოთ. საფეხბურთო მეურნეობისა რაღაც გამეგება — 16-გუნდიანი ჩემპიონატი, მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე და უცხოელ მწვრთნელზე აქცენტირება ჩემთვის მიუღებელია. რა აზრი აქვს, ვიმუშაო და ინერტული ვიყო?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მივმართავ აღმასკომიდან და პროფლიგიდან წასვლის შესახებ. მე ვერ მივიღებ ისეთ პროცესებში მონაწილეობას, სადაც უმრავლესობის ბრმა მორჩილი ვიქნები და მხოლოდ მანდატის აწევა დამევალება. პარადოქსია, რომ პრესა უფრო აქტიურად მუშაობს, ვიდრე საფეხბურთო მოხელეები.

— ალბათ, უცხოეთში წავალ და საფეხბურთო სფეროში ვიმუშავებ. „ლოკომოტივის“ ნაცვლად უმაღლეს ლიგაში „ლოკომოტივი 2“-ის ბავშვები ითამაშებენ და მცდარი მგონია აზრი, თითქოს ამ გუნდს პერსპექტივა ჰქონდეს. გუნდი რომ წაგებულის ფსიქოლოგიას შეეჩვევა, იქ შეუძლებელია რამე ღირებულის გაკეთება.

— ყველა ფეხბურთელთან შედგება საუბარი, მათ გათავისუფლების ფურცელს მივცემთ, ზოგიერთის ჩვენ თავად დავეხმარებით კლუბის მოძიებაში. ნოდარ აკობიას ვესაუბრე და მითხრა, ვერც მე წარმომიდგენია გუნდში მუშაობის გაგრძელებაო. უნდა აღვნიშნო ცხონებული ჯემალ ჩიმაკაძის ღვაწლი, „ლოკომოტივის“ ახალგაზრდები მისი ჩამოყალიბებულები არიან, ამ საქმეს გადაჰყვა და შემდეგ მისი გზა ჩინებულად გააგრძელა აკობიამ.

— ფაქტია, „ლოკომოტივმა“ სპონსორები ვერ მოიძია, იყო რაღაც მოლაპარაკებები, მაგრამ შესაძლოა, სომხეთის „ბანანცთან“ მწარე მარცხმაც შეაცვლევინათ მათ „ლოკომოტივზე“ წარმოდგენა. ტრაგედია მთლიანად ქართულ ფეხბურთშია და ის „ლოკომოტივით“ არ იწყება, გუნდი დაიშალა, თუმც კლუბი იარსებებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ნოდარ აკობია: ამ გუნდით ჩემპიონობაც შეგვეძლო



**ნოდარ აკობიამ** ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ „ლოკომოტივში“ აღარ იმუშავებს.

„გათავისუფლებული ვარ. ცხადია, გული დამწყდა, კარგი გუნდი გვყავდა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესები ვიყავით. ეს ამბავი რომ არა, „ლოკომოტივი“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. „სიონიდან“ სამი ფეხბურთელი წავიდა, შესაძლოა, სხვა ლიდერებიც დასუსტებულიყვნენ და თანაც, ლიდერთან მხოლოდ სამ ქულას ვაგებდით“ — გვითხრა გულდაწყვეტილმა აკობიამ.

„ლოკომოტივს“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი სამომავლო გეგმებზე ვერაფერს გვეუბნება, თუმცა ის კი დასძინა, რომელიმე კლუბიდან შეხმიანების იმედი მაქვსო.

**ლუკა თალაკვაძე**

თბილისის დინამო 80 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრების აკადემია

## მესხის და მეტრეველის შეცვლა შეუძლებელი იყო



[illegible] ფოტო

60-იანი წლების „დინამოზე" წერილი გუშინდელ „სარბიელშიც" შემოგთავაზეთ, მაგრამ იმ წლებში იმდენი ვარსკვლავი თამაშობდა „დინამოში", რომ ერთი საგაზეთო პუბლიკაცია გვეცოტავა. მურთაზ ხურცილავა დიდი ფეხბურთელი იყო და მისი რეგალიები ალბათ ამ ცნებაში ერთიანდება. ხურცილავა საბჭოთა ნაკრებსაც კაპიტნობდა და იქაც ლიდერობდა, ხურცილავას საბჭოთა კავშირის მიღმაც კარგად იცნობდნენ, ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს მცველად მიიჩნევდნენ...
მოკლედ, 60-იანი წლების „დინამოზე" ბატონ მურთაზსაც ვთხოვეთ, მოეყოლა...



მურთაზ ხურცილავა „დინამოსაც" კაპიტნობდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც

— „დინამოში" 1961 წელს მივედი. მანამდე გეგეჭკორის „სალხინოში" ვთამაშობდი და თექვსმეტი წლისა იქიდან გადამიყვანეს „დინამოში". მაშინ გუნდს ანდრო ჟორდანია წვრთნიდა და მეტწილად ძირითადში მათამაშებდა.

— „დინამოში" ყოფნისას მხოლოდ ერთ რამეზე მწყდებოდა გული — 1964 წელს ჯერ ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე, მერე კუნთი გამიწყდა და ხუთი თვე თამაში აკრძალული მქონდა, ამიტომაც ვერ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1964 წელს.

— მაშინდელი „დინამო" საოცრება იყო. უმცროს-უფროსი არსად ისე კარგად არ იცოდნენ, როგორც „დინამოში" — ყველამ თავისი ადგილი იცოდა, ყველა ერთმანეთს პატივსცემით ეპყრობოდა. „დინამო" ცხოვრების აკადემია იყო, თუ ერთ თვეს გაძლებდი ამ აკადემიაში, აუცილებლად პიროვნება გამოვიდოდა შენგან.

— ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, აგრეთვე, მთავრობის სხვა წევრებიც. ისინი საუბრობდნენ მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და ასეთი ვიზიტები უფრო თამაშის წინა დღეს იყო ხოლმე. ჩვენთან ბაზაზე სტუმრობდნენ ცნობილი მსახიობებიც და მერე ჩვენც დავდიოდით მათ სპექტაკლებზე.

— დიღომში, „დინამოს" ვარჯიშებზე ტევა არ იყო, ხალხი ხეებზეც კი ადიოდა ჩვენი ვარჯიშის საყურებლად. ბევრი გულშემატკივარი დადიოდა „დინამოს" დუბლების მატჩებზეც.

— იცით, რა იყო მაშინ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი საქართველოში? ბილეთი „დინამოს" თამაშზე, ხოლო აბონემენტი კიდევ უფრო ძვირფასი ნივთი იყო.

— ხშირად უკითხავთ, თუ რატომ ვეღარ გაიმეორა 1964 წლის ტრიუმფი „დინამომ" 60-იან წლებში. მაშინ საბჭოთა კავშირში სხვა ბევრი კარგი გუნდიც იყო და მაგიტომ, ჩვენ შორის მატჩები კი, ფაქტობრივად, სანაკრებო დონისა იყო.

— ყველა გუნდს ჰყავდა მაგარი ფორვარდი — მოსკოვის „ტორპედოს" სტრელცოვი, „ნეფთჩის" — ბანიშევსკი, კიევის „დინამოს" — ბიშოვეცი, „არარატს" — ოვივიანი, ძალიან კარგი თავდამსხმელი ჰყავდა ტაშკენტის „ფახთაქორსაც" კი — კრასნიცკი.

— 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე „დინამოდან" ნაკრებში სამნი წაგვიყვანეს — მე, სლავა მეტრეველი და გიორგი სიჭინავა. უდიდესი შეცდომა იყო, რომ მიხეილ მესხი არ წაიყვანეს იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე. რა გაეწყობა, ფეხბურთში ასეთებიც ხდება.

— სხვა გუნდში რომ ვყოფილიყავი, როგორ ვითამაშებდი მესხის, მეტრეველის და ბარქაიას წინააღმდეგ?! მე მათი ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მიხაროდა, რომ მათ წინააღმდეგ თამაში არ მიწევდა. და საერთოდ, მაშინდელ „დინამოში" ყველა ისეთი იყო, თამაშის საკუთარ თავზე აღება რომ შეეძლო. ვარჯიშის მერე თითქმის ყველა ფეხბურთელი რჩებოდა მოედანზე ინდივიდუალური კომპონენტების დასახვეწად.

— მეტოქეებიდან ყველაზე უფრო მოსკოვის „ტორპედოს" გამოვარჩევდი, რადგან ეს გუნდი სხვებზე უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა.

— ჩაწყობილი თამაშები? ასეთი რამ მაშინ გამორიცხული იყო. 1964 წელს ქუთაისის „ტორპედოს" 1:1 ვეთამაშეთ და რომ მოგვეგო, „ოქროს მატჩი" მოსკოვის „ტორპედოსთან" აღარ დაგვჭირდებოდა. ასე რომ, არავითარი ჩაწყობილი თამაშები მაშინ არ იყო.

— 60-იანი წლების ბოლოს „დინამოში" კარგი ახალი თაობა მოვიდა — კახი ასათიანი, გივი ნოდია, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე... მაგრამ მესხის, მეტრეველის და მათი სახელოვანი თანაგუნდელების შეცვლა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო...





თბილისის „დინამოს" და ქართული ფეხბურთის ორი ვარსკვლავი: სლავა მეტრეველი (მარცხნივ) და მიხეილ მესხი (მარჯვნივ)

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ფინალური ეტაპის წილისყრა. დღეს

# მსოფლიო წესრიგის დღე

*მაშ ასე, დღეს გერმანიაში, კერძოდ კი, ყოფილი გდრ-ს ქალაქ ლაიპციგში გაიმართება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წილისყრა, რომლის ყველაზე დიდ უცნაურობად იმას მიიჩნევენ, რომ ფიფას რეიტინგით მეორე და მესამე ქვეყნები, ჩეხეთი და ჰოლანდია განთესილები არ არიან.*

*გავიხსენოთ: ჰოლანდიელებმა შესარჩევი ტურნირი წაუგებლად, ათი გამარჯვებითა და ორი ფრით დაასრულეს, ხოლო ჩეხებმა იმავე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. იმავდროულად ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩეხეთმა 2004 წელს ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალს მიაღწია. მაშ, რატომ არ განთესეს ეს ორი ნაკრები? იმიტომ, რომ არც ერთს და არც მეორეს, არ უთამაშია მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე. მეტიც, ჩეხები 1998 წლის მუნდიალზეც არ ყოფილან.*

*ერთი სიტყვით, ფიფამ განთესვის პრინციპი ბოლო ორ მუნდიალზე გამოსვლისა და ბოლო სამ წელიწადში დაგროვებული სარეიტინგო კოეფიციენტის მიხედვით შეადგინა. მოგეხსენებათ, განთესილთა შორის მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია, მასპინძელი გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, მექსიკა, საფრანგეთი, არგენტინა და იტალია*



AFP ლაიპციგიდან

**დღევანდელი** შოუ ლაიპციგის სავაჭრო ცენტრ „ნეუე მესეში“ გაიმართება და მას დაახლოებით 4 ათასი სტუმარი დაესწრება. მათ შორის იქნებიან, ფინალურ ეტაპზე გასული ნაკრებების მწვრთნელები. სცენარის თანახმად, ცერემონიალი საათნახევრიანია და იგი საქართველოს დროით ღამის თორმეტის ნახევარზე დაიწყება.

ზემოთ მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილია ვახსენეთ. მოგეხსენებათ, ბრაზილიელებს მეხუთე ტიტული ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მოაგებინა. მოგეხსენებათ ისიც, რომ კარგა ხანია, „დიდი ფილი“ პორტუგალიის ნაკრებს უდგას სათავეში და იქადნება, რომ უნდა გახდეს პირველი მწვრთნელი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ორი კონტინენტიდან მოიგებს.

შეძლებს ფელიპაო ამას თუ ვერა, 9 ივნისიდან 9 ივლისამდე, გერმანიაში გამოჩნდება, ისე კი, პორტუგალიის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ფიფას რეიტინგში მეათეა, ხოლო ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

ახლა იმის შესახებ ვთქვათ, თუ რა ფორმულით ჩატარდება მუნდიალი. ფორმულა ზუსტად იგივეა, რვა წლის წინ საფრანგეთში რომ იყო. კერძოდ, ზემოთ ნახსენები განთესილი გუნდები რვა ოთხგუნდიან ჯგუფში თითო-თითოდ დაიკავებენ ადგილს, დანარჩენები კი გეოგრაფიული პრინციპის შესაბამისად შეავსებენ ჯგუფებს. გეოგრაფიული პრინციპი იმას ნიშნავს, რომ თითო ჯგუფში ორ ევროპულ ნაკრებზე მეტი ვერ მოხვდება და აგრეთვე, განცალკევდებიან დანარჩენ კონფედერაციათა წარმომადგენლებიც.

საინტერესო იქნება მსოფლიოს ჩემპიონატების დებიუტანტთა თამაშიც. ასეთები რვანი არიან: განა, კოტ დივუარი, ანგოლა, ტოგო, ტრინიდადი და ტობაგო და უკრაინა. როგორც ხედავთ ყველაზე მეტი დებიუტანტი, ოთხი, აფრიკელებს ჰყავთ.

ადრეც მოგახსენეთ, რომ გერმანიას, როგორც მასპინძელს, გარანტირებული აქვს A1 მარშრუტი, რომლის მიხედვითაც, პირველი მატჩის ჩატარება ჩემპიონატის გახსნის დღეს, მიუნხენში მოუწევს, 14 ივნისს დორტმუნდში გაღაინაცვლებს და 20 ივნისს ჯგუფურ ტურნირს ბერლინში ჩაამთავრებს.

მსოფლიოს ჩემპიონის, ბრაზილიის მარშრუტია F1. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიისა არ იყოს, ბრაზილიელებიც დიდ სტადიონებზე ითამაშებენ: 13 ივნისს ბერლინში, 18 ივნისს მიუნხენში და 22 ივნისს დორტმუნდში.

და კიდევ, გერმანელთა და ბრაზილიელთა მარშრუტების ასეთი განაწილება იმას ნიშნავს, რომ თუ ისინი თავ-თავიანთ ჯგუფებში პირველ ადგილებს დაიკავებენ, მათი გზები ფინალამდე არ გადაიკვეთება.

არ გვითქვამს, მაგრამ, ბუნებრივია, ნათელია, რომ ამ ფორმატის მიხედვით, პლეიოფის ეტაპზე ყოველი ჯგუფიდან ორი გუნდი გადის.

ასე და ამგვარად, დღევანდელი კენჭისყრის შესახებ ცნობილი ეს არის, სხვა რამის პროგნოზირება კი შეუძლებელია. ლაიპციგის გუშინდელ „ფოლკსცაიტუნგში“ ეწერა: გერმანიას შესაძლოა, ძალიან ძლიერი ჯგუფი ერგოს. ეს უპირველეს ყოვლისა, ალბათ იმაზეა დამოკიდებული, შეხვდება თუ არა მასპინძლებს ჰოლანდია ან ჩეხეთი.

წილისყრის ცერემონიალს გადასცემს 150 ქვეყანა. საერთო ტელეაუდიტორია კი 350 მილიონს გაუტოლდება. სხვებთან ერთად შოუში მონაწილეობას მიიღებენ პელე, ლოთარ მათეუსი და ანდრეი შევჩენკო.

კენჭისყრა გაიმართება გეოგრაფიული პრინციპის დაცვით.
თითო ჯგუფში მოხვდება მაქსიმუმ ორი ევროპული გუნდი. დანარჩენი კონფედერაციებიდან თითო ჯგუფში თითო გუნდი იქნება

შედარებით რთულია გუნდების კენჭისყრისწინა დაჯგუფება. კერძოდ, შექმნილია სამი რვაგუნდიანი ჯგუფი, რომლის გარდაც არის ერთი შვიდგუნდიანი ჯგუფი და ცალკე გამოყოფილი სერბეთი. შეგახსენებთ ამ ჯგუფებს:

**განთესილები**

გერმანია, ბრაზილია, ინგლისი, ესპანეთი, მექსიკა, საფრანგეთი, არგენტინა, იტალია

**აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ოკეანეთი**

ანგოლა, კოტ დივუარი, განა, ტოგო, ტუნისი, ეკვადორი, პარაგვაი, ავსტრალია

**ევროპა**

ხორვატია, ჩეხეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა

**აზია, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა, კარიბეთი**

ირანი, იაპონია, კორეა, საუდის არაბეთი, კოსტა რიკა, აშშ, ტრინიდადი და ტობაგო.

**ცალკე:**

სერბეთი. იმისთვის, რომ რომელიმე ჯგუფში სამი ევროპული გუნდი არ დაგროვდეს, სერბეთს რომელიმე არაევროპული კალათიდან ამოიღებენ.

ჯგუფებში პირველ პოზიციებზე, რა თქმა უნდა, იქნებიან განთესილი გუნდები, სხვათა პოზიციების დასადგენად კი გაიმართება დამატებითი კენჭისყრა.


AFP ლაიპციგიდან

ყველაფერი მზადაა — გერმანელები დღეს გრანდიოზულ შოუს გეგმავენ

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში
ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი

• უახლესი ავტომატური ამერიკული ტექნოლოგიები
• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
• გარანტირებული შედეგები
• შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
• კონფიდენციალურობა
• საახალწლო ფასდაკლება
ჰეარლაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი
ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## A ჯგუფი

## გოლი? რა გოლი, რის გოლი



AFP ვენიდან

ბრიუგე — ბაიერნი. მიუნხენელები მატჩის ბოლოს მსაჯს სამართლიანად ედავებოდნენ, გოლი გასაუქმებელი არ იყოო

### რაპიდი 1:3 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (35), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (42), 0:3 დელ პიერო (45), 1:3 კინცლი (52)

**რაპიდი:** პაიერი, დობერი, ჰიდენი, ვალახოვიჩი, კატცერი, კორსოში (ს. მარტინესი 81), ჰლინკა, ს. ჰოფმანი, ივანშიტცი, კინცლი, აკაგიუნდუზი (კინასტი 86)

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

**იუვენტუსი:** აბიატი, ბალძარეტი, ტურამი, კოვაჩი, კიელინი, კამორანეზი (ძანიკედა 78), ბლაზი, ვიეირა, მუტუ (პესოტო 61), დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 46)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ტურამი, კამორანეზი

მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

46 000 მაყურებელი

**შეიძლება** ითქვას, რომ ვენაში გამართული მატჩი ალესანდრო დელ პიეროს ბენეფისად იქცა. ტურინელთა კაპიტანმა დუბლი შეასრულა და ახლა, კლუბის ისტორიაში, ფაქტობრივად, საუკეთესო ბომბარდირია. მას, ჯამპიერო ბონიპერტის დარად, 182 ბურთი მოუგროვდა. თანაც დელ პიეროს პირველი გოლი „ბებერი ქალბატონისთვის" მე-300 გამოდგა ჩემპიონთა ლიგაში.

პირველი გოლი დელ პიერომ ბრწყინვალე, შორეული საჯარიმოთი გაიტანა. ტაიმის მიწურულს კი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა იხეირა — შვედმა ერთი მცველი ჩამოიშორა და პაიერს ახლო, დაბალ კუთხეში ისეთი ძალით დაურტყა, მეკარემ ბურთს თვალიც ვერ გააყოლა.

მეორე ტაიმში ტურინელებს თავი აღარ მოუკლავთ და, სიმართლე ითქვას, არც პირველში ბრწყინავდნენ. „რაპიდი" კი ბევრს წვალობდა და მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯი კრისტიან აბიატი შეუვალი გახლდათ. თანაც თავად ვენელები სცოდავდნენ. მათ მიზანს მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს — 52-ე წუთზე ადრიან ივანშიტცის ჩაწოდებულ კუთხურს მარეკ კინცლის ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

ერთი სიტყვით, სტუმრებმა დამსახურებულად იმარჯვეს და რადგანაც „ბაიერნს" ბრიუგეში ფეხი დაუცდა, ჯგუფში პირველი ადგილი სწორედ „იუვეს" ერგო.

ფაბიო კაპელო: „პირველი ტაიმი მშვენივრად ჩავატარეთ, მერე კი ცოტა მოვდუნდით, თუმცა „რაპიდს" ჩვენთვის დიდი პრობლემები არ შეუქმნია. ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს თავიდან საშიშ მეტოქეს აგვაცილებს. რაც შეეხება, დელ პიეროს რეკორდს, მიხარია და ვულოცავ ვიცი, იგი ამ წუთს დიდხანს ელოდა".

„ძალიან გახარებული ვარ, რომ ამდენის გატანა შევძელი და „იუვენტუსის" ისტორიაში შევედი, თუმცა მხოლოდ გოლები ყველაფერს არ წყვეტს. ჩემთვის ისიც დიდი პატივია, რომ ამ დიდი კლუბის მაისურს ვატარებ. რაც შეეხება ჩემ საუკეთესო მოგონებებს, ყველაზე კარგად ორი გოლი მახსენდება — პირველი 1996 წელს, საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში, როცა გამარჯვების ბურთი შევაგდე და ასევე „ფიორენტინასთან" — თქვა დელ პიერომ.

### ბრიუგე 1:1 ბაიერნი

0:1 პიზარო (21), 1:1 პორტილიო (32)

**ბრიუგე:** ბუტინა, ფ. კლემანი, ბ. მარტენსი, შპილარი, ვანდელანოტი, ვერმანტი, ენგლებერტი (ვანოდენაერდე 90), როელანდტსი, მატონდო (დუფერი 89), ლანგე (ცვოზდენოვიჩი 78), პორტილიო

მწვრთნელი: იან კულემანსი

**ბაიერნი:** კანი, ლამი, დემიკელისი, ისმაელი, ლიზარაზუ, დაისლერი, ჰარგრივსი (შვაინსტაიგერი 67), ბალაკი, ქარიმი (ზე რობერტო 46), მაკაი (გერერო 46), კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: პიზარო

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

27 860 მაყურებელი

**მიუნხენელებს** ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა უნდოდათ და თავიდანვე თამამად შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ საგოლე მომენტი კარგა ხანს ვერ შექმნეს. 21-ე წუთზე კი დაისლერის ჩაწოდებულს კლაუდიო პიზარომ დაუხვედრა თავი, რასაც მასპინძელთა გააქტიურება უფრო მოჰყვა და მათ მყისვე შექმნეს რამდენიმე მომენტი. ხოლო 32-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს — ცაცია ხავიერ პორტილიომ საჯარიმოს მისადგომებიდან მარჯვენა ფეხით ულამაზესი მოჭრილი დარტყმა შეასრულა და კანი უშანსოდ დატოვა.

დარჩენილმა დრომ „ბაიერნის" უპირატესობით და იერიშით ჩაიარა, მაგრამ გადამწყვეტ დარტყმამდე საქმე იშვიათად მიდიოდა, ხოლო თუ მიდიოდა, ხან ბუტინა ყოჩაღობდა, ხანაც თავად მიუნხენელები სცოდავდნენ. ერთხელ „ბრიუგეს" ძელმაც უშველა. ბოლო წამებზე კი, ხოსე პაულო გერერომ გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა, მიუნხენელთა სამწუხაროდ, იგი არ ჩათვალა — უკვე საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, გერერომ რომ შეაგდო.

**კოკი კანდელაკი**

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:5 | 15 |
| ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ბრიუგე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| რაპიდი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:15 | 0 |

## B ჯგუფი

## ფრანგის ფრანგი ადვოკატი



AFP ლონდონიდან

არსენალი — აიაქსი. ტიერი ანრის (შუაში) ვერგატანილმა პენალტმა ლონდონელებს ზედიზედ მეექვსედ ვერ მოაგებინა

### არსენალი 0:0 აიაქსი

**არსენალი:** ალმუნია, ებუე, სენდეროსი, კ. ტურე, ლორენი (ჟილბერტო 73), გლები (ფაბრეგასი 62), ს. ლარსონი, ფლამინი, რეიესი (ვან პერსი 65), ოვუსუ-აბეიე, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**აიაქსი:** შტეკელენბურგი, ჰეიტინგა, გრიგერა (ტრაბელსი 11), ვერმაელენი, ხუანფრანი, მადურო (ნ. დე იონგი 29), გალაშეკი, სნეიდერი, პიენაარი, როზენბერგი, ბუხარი (ბაბელი 80)

მწვრთნელი: დანი ბლინდი

გაფრთხილება: ფლამინი, გლები, ჰეიტინგა

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

35 376 მაყურებელი

**არსენ ვენგერს** მეექვსე თამაშის მოგებაც უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. პირველი ტაიმის ბოლოს ხოსე ანტონიო რეიესის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ტიერი ანრიმ ვერ გამოიყენა — კარს ააცილა.

ორივე გუნდს მერვედფინალი განაღდებული ჰქონდა, რამაც მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის დასვენების საშუალება მისცა. ვენგერმა განაცხადში იენს ლემანი, რობერ პირესი, დენის ბერხკამპი და ფრედი ლიუნგბერგი არ შეიყვანა. პრემიერლიგის ბოლო ტურში „ბოლტონთან" დამარცხებულ „არსენალს", ამ უქმეებზე ნიუკასლში მატჩი ელის და ოთხეულის არყოფნის მიზეზიც ესაა.

დანი ბლინდმა კი, რომლის გუნდიც ჩემპიონატში მერვე ადგილზეა, მთავარი ფეხბურთელები დაუპირისპირა „მეთოფეებს" — ჯონი ჰეიტინგას და მარკუს როზენბერგს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ: პირველმა ნაკუთხურალ ბურთზე ვერ იხეირა, ხოლო მეორეს მანუელ ალმუნიამ აჯობა. ამის შემდეგ ექსცენტრიულმა ალმუნიამ ორჯერ მიჰქარა, მაგრამ გაუმართლა, რომ შეცდომისთვის აიაქსელებმა ვერ დასაჯეს. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ანრიმ მომენტი ვერ გამოიყენა, მერე კი სტუმრები მსაჯს აუხირდნენ, რადგან, მათი აზრით, ალმუნიამ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. „არსენალის" მეკარემ მოგვიანებით იყოჩაღა და სტივენ პიენაარს არ გაატანინა. თამაშის ბოლოს გუნდებს თითოჯერ კიდევ მიეცათ საგოლე შანსი, თუმცა მატჩს უგოლოდ დასრულება ეწერა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ხოსე ანტონიო რეიესი დაშავდა და „ნიუკასლთან" მატჩს ალბათ გამოტოვებს, სტუმრებმა კი ლონდონიდან ორი ტრავმირებული ფეხბურთელი წაიყვანეს: აჰმედ მადურო და ზდენეკ გრიგერა.

არსენ ვენგერმა ტიერი ანრის ვექილობა იკისრა: „მცირედით ააცილა, მაგრამ ვერმოგების მიზეზი ეს არ არის. ზოგ ფეხბურთელს ამ დონეზე თამაშის გამოცდილება აკლია. ბოლო პასს აგვიანებდნენ, ან ადრე აწვდიდნენ ბურთს, თუმცა ნელ-ნელა ხარისხს გავაუმჯობესებთ. ახლა პრემიერლიგას მივხედავთ, მერვედფინალამდე კი ვიმედოვნებ, გუნდი უკეთესი გახდება".

„მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილი განაღდებული გვქონდა, გამარჯვება გვსურდა. კმაყოფილი ვარ, ჩემი ფეხბურთელების მონდომებით. ისინი თავიდან ბოლომდე გულიანად გაისარჯნენ" — განაცხადა დანი ბლინდმა.

### სპარტა 0:0 თუნი

**სპარტა:** ბლაჟეკი, პოშპიჩი, მ. პეტრაში, პეტროუში, კადლეცი, შიმაკი (იესლინეკი 60), ზელენკა, მაშეკი (მერზანი 82), პოლაჩეკი, დოშეკი, სლეპიჩკა (მატუშოვიჩი 66)

მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა

**თუნი:** იაკუპოვიჩი, ორმანი, ჰოჯიჩი, გონსალვეში, დუროზი, ადრიანო (ცრენი 57), აეგერტერი, ბერნარდი (სავიჩი 70), ლეანდრო, პიმენტა (ფელსონი 83), ლუსტრინელი

მწვრთნელი: ურს შიონენბერგერი

გაფრთხილება: დოშეკი, დუროზი, სავიჩი

გაძევება: პეტრაში (78), გონსალვეში (85)

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

9 233 მაყურებელი

**„მეგონა,** „თუნს" მაინც დავამარცხებდით, მაგრამ ისიც ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა" — თქვა ნამატჩევს სპარტელთა ნირწამხდარმა მწვრთნელმა სტანისლავ გრიგამ, რომლის გუნდმაც ჯგუფში ერთი თამაშიც ვერ მოიგო. ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა „თუნმა" კი, ბიუჯეტიც გვარიანად შეივსო და უეფას თასზე გადაინაცვლა.

შვეიცარიელებმა დასაწყისში სცადეს მასპინძლებზე იერიშის მიტანა, მერე კი დაცვაში დაიბუდეს, რომელმაც ფრიადზე იმრომა. „სპარტას", ფაქტობრივად, ნაღდი საგოლე მომენტი არც შეუქმნია. მეორე ტაიმმაც პრაღელთა უსუსურ შეტევებში ჩაიარა — მასპინძელთა კაპიტანი მარტინ პეტრაში ადრიანოსთან უხეშობისთვის გააძევეს. ამის შემდეგ თუნელ ლეანდროს მართებდა გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი კარს ააცილა. პეტრაშს მალე სტუმარი გონსალვეშიც მიჰყვა, რადგან იესლინეკი წაიქცია. სპარტელებმა იმითღა დაამახსოვრეს თავი ქომაგებს, რომ პეტროუშმა ბურთი ძელს გაარტყა.

**ვაჟა ხუციშვილი**

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:2 | 16 |
| აიაქსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| თუნი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| სპარტა | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## C ჯგუფი

**უდინეზე 0:2 ბარსელონა**

0:1 ესკერო (85), 0:2 ინიესტა (90)
**უდინეზე:** დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ზუარესი, ძენონი (ტისონე 38), ვიდიგალი, ობოდო, მუნტარი (მაური 64), კანდელა, დი ნატალე, იაკინტა (დი მიკელე 75)
**მწვრთნელი:** სერსე კოზმი
**ბარსელონა:** ხორკერა, ბელეტი, კ. პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, გაბრი (ინიესტა 75), ედმილსონი, დეკო, ჟიული, ესკერო, ჰ. ლარსონი
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**გაფრთხილება:** ვიდიგალი, ობოდო
**მსაჯი:** ერიკ ბრაამჰარი (ჰოლანდია)
40 000 მაყურებელი

# მადლობა კატალონიას



ვერდერი — პანათინაიკოსი. დაბრუნებაც ასე უნდა: მიროსლავ კლოზემ თავისი გოლი გაიტანა

**სულ** რაღაც ხუთი წუთი აშორებდა იტალიურ „უდინეზეს“ მერვედფინალისგან, თუმც სანტი ესკეროსა და ანდრეს ინიესტას მიერ მატჩის მიწურულს გატანილმა გოლებმა აპენინელთა სალიგო იმედები ცოცხლად დამარხა.

„ბარსამ“ „სტადიო ფრიულიზე“ მაინც მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიური გრანდის რიგებში იქაურ მთავარჩაუქებს, რონალდინიოს და სამუელ ეტოოს არ უთამაშიათ. თან, რაკი იტალიელთა მეტოქეს პირველობა უკვე განაღდებული ჰქონდა, თითქოს უმოტივაციოდ იყო დარჩენილი.

„ჩვენმა გუნდმა მსოფლიოს თავისი სიძლიერე კიდევ ერთხელ უჩვენა. ეტოოსა და რონალდინიოს არყოფნა „ბარსელონას“ უქმად გაჩერებას არ ნიშნავს. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს“ — განაცხადა ჰენკ ტენ კატმა, ფრანკ რაიკარდის თანაშემწემ.

იქამდე კი, სანამ გახარებულ ტენ კატთან ჟურნალისტები მიიჭრებოდნენ, დაძაბული თამაში იყო. მატჩი, რომელშიც „უდინეზეს“ ერთი ქულაც ჰყოფნიდა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

„ჩემპიონთა ლიგას „უდინეზე“ ამაყად თავაწეული ტოვებს. ჩვენ ტურნირის დებიუტანტები ვიყავით და რიგ მატჩებში გამოცდილება არ გვეყო, თუმც მაინც მინდა, ალვნიშნო, რომ ბიჭებმა ბრწყინვალედ იბურთავეს“ — განაცხადა სერსე კოზმიმ, იტალიელთა მწვრთნელმა.

პირველი ტაიმი სტუმრების იყო — ჟიულიმ, დეკომ და ესკერომ მეტოქის საჯარიმო ბევრჯერ შეაწუხეს. ადგილობრივთაგან კი ლაზათიანად მხოლოდ ვინჩენცო იაკინტა, „უდინეზეს“ უპირველესი ვარსკვლავი ირჯებოდა.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა და იტალიელებმა მძლავრად შეუტიეს სწორედ ამ გაფთრებულმა იერიშებმა მოუტანა სერსე კოზმის ბიჭებს კრახი — 85-ე წუთზე სანტი ესკერომ, ხოლო 90-ეზე ანდრეს ინიესტამ კონტრშეტევებისას აპენინელთა მცველების შეცდომებით ისარგებლეს და „უდინეზესაც“ მარტო უეფას თასის საგზური დარჩა.

**ვერდერი 5:1 პანათინაიკოსი**

1:0 მიკუ (23), 2:0, 3:0 ვალდესი (28, 31), 4:0 კლოზე (51), 4:1 მორისი (63), 5:1 ფრინგსი (90)
**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა, ანდრეასენი, ფარენჰორსტი, შულცი (პასანენი 50), ფრინგსი, ბაუმანი (დ. იენსენი 76), ვრანიეში, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი (შუნტი 79)
**მწვრთნელი:** თომას შააფი
**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ვინტრა, მორისი, ბიშკასი, დარლასი (ვუტერი 71), ნილსონი, ფ. კონსეისაო, ე. გონსალესი, ცილიისი, პაპადოპულოსი, ტორშელე (მანცოისი 74)
**მწვრთნელი:** ალბერტო მალეზანი
**გაფრთხილება:** გალინოვიჩი, ტორშელე, ვინტრა, ვრანიეში, გონსალესი
**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
38 000 მაყურებელი

**მატჩამდე** ...... „ვერდერი“ ჯგუფის ბოლოში იყო ჩაკარგული, თუმც „პანათინაიკოსთან“ გამანადგურებელი ანგარიშით მოგებამ და პარალელურად „უდინეზეს“ ფიასკომ ბრემენელ „მუსიკოსებს“ მერვედფინალის საგზური მოუტანა. ბერძნები მხოლოდ უეფაზე მოსახვედრად იბრძოდნენ, მაგრამ „მძიმე გერმანულ ტანკს“ გადაეყარნენ და საამსეზონოდ ევროპული ტურნირების გარეშე მოუწევთ დარჩენა.

„პანათინაიკოსის“ განადგურება იოან მიკუს პენალტით დაიწყო. მერე პარაგვაელმა ნელსონ ვალდესმა ზედიზედ ორი გაიტანა, ხოლო ტრავმისგან მოკეთებულმა მიროსლავ კლოზემ და ტორსტენ ფრინგსმა თითო-თითო შეყარეს. სტუმართა ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი გოლია — ლუკაშ ვინტრას კუთხურის მერე ნასიფ მორისმა თავურით შეაგდო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „ვერდერს“ სამერვედფინალოდ „ფრიულიზე“ „უდინეზეს“ წახდენაც სჭირდებოდა? ჰოდა, „ვეზერშტადიონმაც“ ბოლოს იგრიალა... „მადლობა კატალონიას“ — ეწერა გუშინდელ გერმანულ გაზეთებში.

„ბრწყინვალე მატჩი იყო. „ვერდერმა“ მერვედფინალის საგზური დამსახურებულად ირგუნა“ — თქვა პრესკონფერენციაზე თომას შააფმა, ბრემენელთა დამრიგებელმა.

**ლადო ხომერიკი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 16:2 | 16 |
| ვერდერი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| *უდინეზე* | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 7 |
| პანათინაიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | 4 |

## D ჯგუფი

**ბენფიკა 2:1 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (6), 1:1 ჟოვანი (16), 2:1 ბეტუ (34)
**ბენფიკა:** კიმი, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო (რიკარდუ როჩა 90), ნუნუ ასისი (ჟ. ფერეირა 73), პეტიტი, ბეტუ, ნელსონი, ნუნუ გომეში, ჟოვანი (მანტორაში 80)
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში (რიჩარდსონი 85), რონალდუ (პარკი 67), სმიტი, სქოულზი, გიგზი (საა 61), ვან ნისტელროი, რუნი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** ბეტუ, რონალდუ, ჟოვანი, პეტიტი, ნევილი, ფერდინანდი
**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
61 000 მაყურებელი

# ფუაპ!
## იმედების გაცრუება



AFP ლისაბონიდან

ბენფიკა — მანჩესტერი. პორტუგალიელი ბეტუ: ხომ გაიგეთ, „მანჩესტერის“ გაგდებაც შეგვძლებია

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა და ჯგუფში, ვერც მესამე ადგილი დაიკავა, უეფას თასზე რომ გადასულიყო. ასეთი რამ, ზედიზედ ცხრა წლის განმავლობაში არ მომხდარა — მეათე წელიწადს კი, როგორც ხედავთ, მოხდა.

„ამჯერად, ბოლოწამს თავის გადარჩენის დიდოსტატთა შესრულებით არაფერი ყოფილა, არც გვიანი გოლი, არც საფინალო სასტვენისწინა გმირობა. იყო მხოლოდ დიადი გუნდის ჩამოვარდნა და ლეგენდარული მწვრთნელის საბედისწერო ზღართანი ყველანაირი სიმაღლიდან“ — წერდა გუშინ „მირორი.“ გაზეთის აზრით, უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვერ ითამაშა ისე, რომ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასულ 16 საუკეთესოს შორის დაემსახურებინა ადგილი.

„სანი“: „დაახლოებით 15 მილიონ გირვანქიანი საპრიზო თანხის დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ ფერგიმ მალკოლმ გლეიზერს პირველი ტესტი ვერ ჩააბარა... „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩაყვინთა, ალექს ფერგიუსონის მომავალი კი, უხარისხო თამაშისა და ევროპიდან გავარდნის შემდეგ სათუო ჩანს.“

„ინდეპენდენტი“: „კლუბის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრიუმფის სარბიელი იგულისხმება ლისაბონის სტადიონი „ლუში“, სადაც „იუნაიტედს“ სამოციან წლებში „ბენფიკა“ 4:1 ჰყავს დამარცხებული. „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ და ალექს ფერგიუსონისთვის სიკვდილის ჯგუფში ლოგიკური დასასრულის ადგილი აღმოჩნდა“...

ციტატების მოყვანა, ბუნებრივია, კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისია. პათოსი კი მთელ ინგლისურ პრესას ერთი აქვს — ალექს ფერგიუსონს წყალი შეუდგა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი დასუსტდა. ასე იყო თუ ისე, ლისაბონში მანჩესტერელებმა მოწადინების მიუხედავად, ვერ აჩვენეს ის თამაში, ფრეს და მერვედფინალში გასვლას, რომ მოუმკიდდათ.

**ვილიარეალი 1:0 ლილი**

1:0 გიარე (67)
**ვილიარეალი:** ვიერა, კრომკამპი, გ. როდრიგესი, პენია, არუაბარენა, სენა, ხოსიკო, სორინი (ფონტი 36), რიკელმე, ფორლანი (როხერი 83), ხოსე მარი (გიარე 60)
**მწვრთნელი:** მანუელ პელეგრინი
**ლილი:** ტ. სილვა, შალმე, ტავლარიდისი, ვიტაკიჩი, ტაფორო, ლიხტშტაინერი (მუსილუ 70), დიუმონი, ბოდმერი, მაკუნი, დერნისი (აჩიმოვიჩი 60), ოდემვინგი (მირალასი 75)
**მწვრთნელი:** კლოდ პუელი
**გაფრთხილება:** რიკელმე, ხოსიკო
**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
18 000 მაყურებელი

**„ვილიარეალი“** ჯგუფიდან გავიდა, „ლილს“ 1:0 მოუგო, რითაც, შესაძლოა, ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, ევროპის საუკეთესო გუნდთა მარაქაში ამოჰყო თავი.

„დიახ, ეს შედეგი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ვართ — სიხარულით დაადასტურა ესპანელთა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ — სეზონის პირველ ნახევარში, მიზნად დასახულ შედეგს მივაღწიეთ: ევროპულ სარბიელზე თამაში არ წაგვიგია, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მაღალი ხარისხის ფეხბურთს ვთამაშობთ. პირველ ტაიმში ჩვენს თამაშში ნაკლოვანება მაინც შეიმჩნეოდა, შესვენების შემდეგ კი გამოვსწორდით და გამარჯვების გოლიც გავიტანეთ“.

„ლილის“ თავკაცი კლოდ პუელი: „ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან მატჩის წინ, გული კარგს გვიგრძნობდა. კარგად ვითამაშეთ, ოღონდ, როგორც გაირკვა კარგად თამაში, მომენტების გამოყენებას და გოლების გატანას არ ნიშნავს. სამწუხაროდ, შეჯიბრებიდან გამოვვარდით“.

**პაატა ძიძია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 6 | 2 | 4 | 0 | 3:1 | 10 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| *ლილი* | 6 | 1 | 3 | 2 | 1:2 | 6 |
| მანჩესტერი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 6 |

# ვის მოხსნიან პირველს?
## ტამსვლელთა ფსონები

„უილიამ ჰილის“ ბუქმეიკერებმა 11/10-ზე ფსონი დაუდეს სერ ალექს ფერგიუსონს იმის თაობაზე, რომ გაისად ის „მანჩესტერის“ მწვრთნელი აღარ იქნება.


ალექს ფერგიუსონს დრო უმთავრდება?

ფერგი მეოთხეა სხვა ფსონის სიაშიც — რომელ მწვრთნელს გადააყენებენ ყველაზე ადრე პრემიერლიგაში? ლიდერი ნიუკასლელი გრემ სუნესია (19/10), მას მოსდევს „ასტონ ვილას“ ბოსი დევიდ ოლირი (4/1). მათ სანდერლენდელი მიკ მაკარტი (7/1), ამ სამეულს კი ფერგიუსონი (8/1).

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჰარი ძველ ადგილას


ჰარი რედნაპი ისევ „პორტსმუთის“ მწვრთნელია

**მოსალოდნელი** მაინც მოხდა: „პორტსმუთისა“ და „საუთჰემპტონის“ თავმჯდომარეები მორიგდნენ და კლუბიდან წასვლის ერთი წლის თავზე ჰარი რედნაპი „პორტსმუთს“ დაუბრუნდა.

მეზობელი და საფეხბურთო ამბავში ქალაქების უხეირობა კიდევ უფრო კომიკური შეიქნა: ჰარი რედნაპმა უკან განვლო ნახევარსაათიანი გზა საუთჰემპტონიდან პორტსმუთისკენ, თუმცა, თავიდან მისი პატრონი რუპერტ ლოუ წინააღმდეგი იყო. მისმა წინა პატრონმა, მილან მანდარიჩმა კი თავი დადო, რათა 58 წლის ჰარი თავის კლუბში დაებრუნებინა.

რედნაპმა პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ამოიყვანა „პორტსმუთი“. თუმცა, შემდეგ კლუბის ახალი დირექტორი ველიმირ ზაიეცი ვერ აიტანა და მეზობელ „საუთჰემპტონში“ გადაბარგდა, რომელთან ერთადაც სრულიად დრამატულად გავარდა პრემიერლიგიდან.

„პორტსმუთის“ პირველი დაბარებისთანავე რედნაპმა „საუთჰემპტონის“ უფროსობას თავი ანება და თავმჯდომარეთა მოლაპარაკებას დაელოდა. თუმცა, თავიდან ეს ამბავი უმუშევრობასაც კი უქადდა.

ახლა კი ყველაფერი მოგვარდა. „კონტრაქტის მოწერას ერთი წუთიც არ დაუჭერია. ციფრები არც იყო ჩაწერილი — ამბობდა გახარებული რედნაპი — აქ იმიტომ დავბრუნდი, რომ მილან მანდარიჩს ძალიან უნდოდა“. „ფრეტონ პარკი“ კი იმედით შესცქერის ჰარის დაბრუნებას: „პორტსმუთი“ ბოლო სამეულიდან უნდა ამოცოცდეს.

„ეს დიდი გამოწვევაა — თქვა ბოლოს მენეჯერმა — ჩემი დაბრუნება, გუნდის გადარჩენაა“.

მანდარიჩიც იმედითაა სავსე: „ის სახლში დაბრუნდა, თავის სახლში, ჩვენ სახლში. რაც მე კლუბში ვარ, ჰარი საუკეთესო მენეჯერი იყო“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბრძოლა წესების გარეშე

„დუისბურგის“ მწვრთნელ ნორბერტ მეიერს გამოძიების დასრულებამდე დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. საქმე ისაა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი ჩხუბის ამბავს იძიებს, რომელიც „დუისბურგი“ — „კიოლნის“ (1:1) მატჩისას მოხდა.

მასპინძელთა თავკაცი და კიოლნელი ფეხბურთელი ალბერტ შტრაიტი ხელდახელ შეიბნენ, მერე თავებიც დაჰკრეს, ფეხებიც წკეპლასავით იხმარეს და ორივე მიწაზე დაეცა. მსაჯმა მანუელ გრეფემ მოჩხუბრებს წითელი ბარათი უჩვენა და გასახდელში შეყარა.

მეიერმა, მუშტი-კრივი მოგვიანებით ვიდეოფირზე ნახა და მოიბოდიშა, წამიერად კონტროლი დავკარგეო.

რა დაკარგა „დუისბურგის“ მწვრთნელმა, საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი გაარკვევს — ალბერტ შტრაიტს წითელი ბარათის გამო ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს, მაგრამ ეგებ ორივე მკაცრად დასაჯონ და სამ-ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია „აჰკიდონ“.

ნორბერტ მეიერს ჯერჯერობით მწვრთნელობა აკრძალული აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**


მწვრთნელ ნორბერტ მეიერს ალბერტ შტრაიტი მიეჭრა და...

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მიდლსბრო“ როდოლფო დუალას შეძენაზე ფიქრობს. გამორიცხული არ არის, კამერუნელი გამოსყიდვის პერსპექტივით ზაფხულამდე ინათხოვრონ კიდეც. „რივერსაიდზე“ გადასვლა თავად ფეხბურთელსაც სდომებია.

**ესპანური** „რეალის“ წარმომადგენელმა და ფიფას აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ საინტერესო განცხადება გააკეთა: „არიგო საკიმ „რეალის“ დატოვება იმიტომ გადაწყვიტა, რომ „რეალის“ თავკაცობას ამალებდნენ, თუმც მან მადრიდიდან წასვლა „ბარსელონასთან“ მარცხის მერე გადაწყვიტა, მაგრამ ამის გაკეთებას იანვარში აპირებდა“.

**იტალიური** „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ემერსონი „ფიორენტინასთან“ მატჩში მიღებული ტრავმის გამო 10 დღე დაისვენებს, იგი ალბათ 17 დეკემბერს, „ლაციოსთან“ თამაშისთვის დაბრუნდება. პარალელურად, ტურინელები თურმე პალერმოელ ანდრეა ბარძალისა და „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველ რობერტო პალასიოს უტრიალებენ.

| 11195 | დეპორტივო-კადისი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11196 | მალაგა-რეალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 3.70 | 20.00 | 10.00 | 2.70 |
| 11197 | ოსასუნა-მალიორკა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11200 | ვალენსია-ბილბაო | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11202 | სარაგოსა-სელტა | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-უიგანი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12100 | დუისბურგი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.55 |
| 12104 | შალკე-მაინცი | 2.00 | 1.60 |
| 12105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 2.30 | 1.45 |
| 12108 | კიოლნი-ვერდერი | 2.00 | 1.60 |
| 12150 | სიენა-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 2.00 | 1.60 |
| 12153 | ასკოლი-რეჯინა | 1.60 | 2.00 |
| 12154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.90 | 1.70 |
| 12156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12157 | მესინა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12158 | პარმა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12159 | რომა-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12160 | უდინეზე-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12161 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12192 | ბარსელონა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 12193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12194 | ხეტაფე-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12195 | დეპორტივო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12196 | მალაგა-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12200 | ვალენსია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12202 | სარაგოსა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-უიგანი | 2.00 | 1.60 |
| 13009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13100 | დუისბურგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13104 | შალკე-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.90 | 1.70 |
| 13108 | კიოლნი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13150 | სიენა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.90 | 1.70 |
| 13153 | ასკოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.90 | 1.70 |
| 13156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13157 | მესინა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13158 | პარმა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13159 | რომა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13160 | უდინეზე-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13161 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | ბარსელონა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 13193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13194 | ხეტაფე-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13195 | დეპორტივო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13196 | მალაგა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13200 | ვალენსია-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13202 | სარაგოსა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.30 | 2.50 |
| 14003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.80 | 2.00 |
| 14004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 2.20 |
| 14005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.55 | 2.30 |
| 14006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.40 | 2.40 |
| 14007 | ჩელსი-უიგანი | 1.06 | 2.80 |
| 14009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.90 | 1.90 |
| 14010 | ნიუკასლი-არსენალი | 2.00 | 1.70 |
| 14011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.12 | 2.50 |
| 14013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.20 | 2.60 |
| 14100 | დუისბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 14101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.90 | 1.90 |
| 14102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.60 | 2.30 |
| 14103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.95 | 1.80 |
| 14104 | შალკე-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.90 | 1.90 |
| 14108 | კიოლნი-ვერდერი | 2.40 | 1.40 |
| 14150 | სიენა-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.05 | 2.90 |
| 14153 | ასკოლი-რეჯინა | 1.80 | 2.00 |
| 14156 | ლივორნო-ლაციო | 1.70 | 2.10 |
| 14157 | მესინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 14158 | პარმა-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14159 | რომა-პალერმო | 1.60 | 2.30 |
| 14160 | უდინეზე-ლეჩე | 1.60 | 2.40 |
| 14161 | ინტერი-მილანი | 1.90 | 1.90 |
| 14191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14192 | ბარსელონა-სევილია | 1.15 | 2.60 |
| 14193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.70 | 2.10 |
| 14194 | ხეტაფე-რასინგი | 1.60 | 2.30 |
| 14195 | დეპორტივო-კადისი | 1.40 | 2.40 |
| 14196 | მალაგა-რეალი | 2.20 | 1.70 |
| 14197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.30 | 2.50 |
| 14199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14200 | ვალენსია-ბილბაო | 1.30 | 2.50 |
| 14202 | სარაგოსა-სელტა | 1.90 | 1.90 |
| 14630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 2.10 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ბირმინგემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ნიუკასლი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მანჩესტერი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | დუისბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ჰამბურგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | შალკე-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | კიოლნი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | სიენა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ასკოლი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | იუვენტუსი-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ლივორნო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | მესინა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | პარმა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | რომა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | უდინეზე-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ინტერი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ატლეტიკო-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ბარსელონა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | ბეტისი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ხეტაფე-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | დეპორტივო-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | მალაგა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ოსასუნა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ვალენსია-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | სარაგოსა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.20 | 3.40 |
| 16003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.60 | 2.10 |
| 16004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.45 | 2.30 |
| 16005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.35 | 2.60 |
| 16006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.20 | 3.20 |
| 16009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.90 | 1.65 |
| 16010 | ნიუკასლი-არსენალი | 2.30 | 1.45 |
| 16011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.06 | 5.20 |
| 16013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.10 | 4.75 |
| 16100 | დუისბურგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 16101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 16102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.35 | 2.50 |
| 16103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.80 | 1.70 |
| 16104 | შალკე-მაინცი | 1.12 | 4.20 |
| 16105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.75 | 1.85 |
| 16108 | კიოლნი-ვერდერი | 2.50 | 1.35 |
| 16150 | სიენა-ემპოლი | 1.50 | 2.20 |
| 16151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.05 | 5.80 |
| 16153 | ასკოლი-რეჯინა | 1.50 | 2.20 |
| 16156 | ლივორნო-ლაციო | 1.40 | 2.30 |
| 16157 | მესინა-კიევო | 1.60 | 2.00 |
| 16158 | პარმა-სამპდორია | 2.10 | 1.55 |
| 16159 | რომა-პალერმო | 1.35 | 2.60 |
| 16160 | უდინეზე-ლეჩე | 1.25 | 3.00 |
| 16161 | ინტერი-მილანი | 1.75 | 1.80 |
| 16191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.25 | 3.30 |
| 16192 | ბარსელონა-სევილია | 1.04 | 4.50 |
| 16193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.45 | 2.30 |
| 16194 | ხეტაფე-რასინგი | 1.30 | 2.90 |
| 16195 | დეპორტივო-კადისი | 1.25 | 3.20 |
| 16196 | მალაგა-რეალი | 2.60 | 1.35 |
| 16197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.20 | 3.50 |
| 16199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.60 | 1.90 |
| 16200 | ვალენსია-ბილბაო | 1.15 | 3.80 |
| 16202 | სარაგოსა-სელტა | 1.60 | 1.90 |
| 16630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.40 | 2.40 |

## გოლი: წყვილი-1 ან კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბირმინგემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნიუკასლი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | დუისბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17101 | აინტრახტი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | შალკე-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | კიოლნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | სიენა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ასკოლი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17157 | მესინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17158 | პარმა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | რომა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17160 | უდინეზე-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ინტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ბარსელონა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ბეტისი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ხეტაფე-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | დეპორტივო-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | მალაგა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ვალენსია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17202 | სარაგოსა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17630 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |





დავით უსტიაშვილის „დინამო" ოთარ ხმელიძის „აზოტის" წინააღმდეგ

# ჰაერივით ორი ქულა

## დინამოს გარუსთაველებული იმნაძის არ ეშინია

ეროვნული ნაკრების წევრ დავით უგრეხელიძის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატს კიდევ ერთი გამოცდილი ცენტრი, დავით იმნაძე უბრუნდება. თუ „აზოტში" მოწყობილ იმნაძეს სლოვაკეთიდან გათავისუფლების ფურცელი დროულად ჩამოუვიდა, დღეს „დინამოს" წინააღმდეგ ითამაშებს. სწორედ ეს მატჩია ამ ტურის ცენტრალურ შეხვედრად მონათლული და გუნდების მწვრთნელებმაც ჟურნალისტებთან სასაუბროდ ტრადიციულად კაფე „მსოფლიო სპორტში" მოიყარეს თავი...

*პირველი სიტყვა სტუმარი გუნდის, „აზოტის" მთავარი მწვრთნელის, ოთარ ხმელიძისა იყო:*

— დაძაბული, საინტერესო შეხვედრა იქნება, შანსები თანაბარია. „დინამო" ახალგაზრდული გუნდია. მიუხედავად ამისა, დალაგებულ, რაციონალურ, პროგრესულ კალათბურთს თამაშობს, რაც უპირველესად მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის დამსახურებაა. „დინამომ" უკვე დაამტკიცა თავისი ძალა: ყველა ლიდერს ტოლ-სწორად ებრძოლა და ბოლოსლა წააგო..

— იგივეს ვიტყვი ჩვენს გუნდზეც. „აზოტს" არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა ჰყავს და ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაც შეგვიძლია. „დინამოსი" არ იყოს, ჩვენც ყველა ლიდერთან ბრძოლაში წავაგეთ. ასე რომ, ეს მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია...

— თუ გათავისუფლების ფურცელი ჩამოუვიდა, „დინამოსთან" ჩვენი ახალწვეული დავით იმნაძე ითამაშებს. მისი მოსვლით „აზოტი" ძალიან გაძლიერდება და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. გუშინ ველაპარაკეთ გუნდის პრეზიდენტ ბადრი კაკაბაძეს, რომელიც ყველანაირ დახმარებას დაგვპირდა. აქეთ რუსთავის მერიაში დაგვთანხმდნენ, რომ ფინანსურად გვერდში დაგვიდგებიან და სულ მალე ალბათ კიდევ გავძლიერდებით. ეროვნულ ჩემპიონატს „აზოტის" სახით ერთი ლამაზი და კონკურენტუნარიანი გუნდი შეემატება.

— „დინამოსთან" საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშებთ. ლევან ჩაჩუა კვლავ დისკვალიფიცირებულია, მიხეილ ჭოჭუას ბატონები შეეყარა და არ იქნება, ხოლო დავით კურტანიძისა და არწივიძის თამაში ტრავმების გამო საეჭვოა. მიუხედავად ამისა, შანსებს მაინც თანაბრად ვანაწილებ.

*დავით უსტიაშვილი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*

— ურთულესი მატჩი გველის, გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება. ჩვენ მზად ვართ საბრძოლველად და მოგებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, თუმცა ვნახოთ, რა გამოგვივა...

— ტრავმირებულება ჩვენც გვყავს. ლაშა დევიძე ჯანზე ვერაა და არ ითამაშებს, გუნდის ერთ-ერთ ლიდერ ვანო მაისურაძეს კი ტრავმა აწუხებს და არ ვიცი, დაგვეხმარება თუ არა.

— თუ „აზოტში" იმნაძე ითამაშებს, პრობლემები მოგვემატება, თუმცა უკვე განსაზღვრული გვაქვს, მას რა უნდა დავუპირისპიროთ.

*ბოლოს მოთამაშეებმაც გამოთქვეს აზრი. თავიდან „აზოტის" პურჯმა რამაზ გოგოპერიშვილმა ილაპარაკა:*

— ჩვენს გუნდს სათანადო მომზადება არ გაუვლია და გამოცდილებასთან ერთად შეკამაჭებაც გვაკლია. ამიტომაცაა, რომ საწყისი სამი მეოთხედი ყველა ლიდერს მოვუგეთ და მეოთხეში დავმარცხდით. ახლა თანდათან ფორმაში შევდივართ და იმედია, ეს შედეგზეც აისახება.

*ბექა წივწივაძე, „დინამოს" გამთამაშებელი:*

— „აზოტის" დამარცხება ძალიან გვჭირდება, რათა ოთხეულში დავმკვიდრდეთ. „დინამოში" ვინც ჯანმრთელადაა, ყველა კარგ ფორმაშია და წარმატების იმედიც გვაქვს.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კიდევ ერთი უნაყოფო გაკვეთილი

7 დეკემბერი

**ტორონტო 102:91 ლეიკერსი**

**ტორონტო:** ბოში (22 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), მ. ჯეიმსი (14 ქულა), პეტერსონი (14 ქულა)

**ლეიკერსი:** ოდომი (19 ქულა), ს. პარკერი (15 ქულა), ბრაიანტი (11 ქულა, 9 პასი)

**ფილადელფია 85:88 მილუოკი**

**ფილადელფია:** აივერსონი (23 ქულა, 5 პასი), დალემბერი (13 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ვებერი (11 ქულა, 6 მოხსნა)

**მილუოკი:** რედი (24 ქულა, 7 მოხსნა), უილიამსი (16 ქულა, 9 პასი), ფორდი (12 ქულა)

**ორლანდო 93:102 ჩიკაგო**

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (17 ქულა, 16 მოხსნა), ფრენსისი (16 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი), ბატიე (14 ქულა)

**ჩიკაგო:** პარგო (23 ქულა), დენგი (22 ქულა, 10 მოხსნა), სვიტნი (12 ქულა)

**შარლოტი 84:97 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** ნაიტი (23 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი), ბრეჟეცი (11 ქულა, 6 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (23 ქულა, 7 მოხსნა), ჯეფერსონი (21 ქულა, 7 მოხსნა), კრსტიჩი (17 ქულა, 8 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 87:101 ბოსტონი**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (29 ქულა, 7 მოხსნა), პოლი (16 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჯ. სმიტი (11 ქულა)

**ბოსტონი:** პირსი (28 ქულა, 12 მოხსნა), რ. დევისი (26 ქულა), ბლაუნტი (19 ქულა)

**სან ანტონიო 98:84 მაიამი**

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქულა, 16 მოხსნა), ჯინობილი (27 ქულა), პარკერი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი:** უეიდი (31 ქულა, 6 მოხსნა, 10 პასი), უოლკერი (10 ქულა), ჰასლემი (8 ქულა, 6 მოხსნა)

**იუტა 95:83 ატლანტა**

**იუტა:** ჰარპრინგი (30 ქულა), ოქური (17 ქულა), კირილენკო (14 ქულა, 10 პასი), პალასიო (10 ქულა, 9 პასი), გირიჩეკი (8 ქულა), ჯ. კოლინზი (6 ქულა, 10 მოხსნა), დ. ბრაუნი (4 ქულა), ოუენსი (2 ქულა), დ. უილიამსი, ჰამფრისი, ველი

**ატლანტა:** ფაჩულია (10 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 5 დაკარგვა), ჯ. ჯონსონი (19 ქულა), ს. სტუდემაიერი (15 ქულა), ჰარინგტონი (11 ქულა), ჩილდრესი (9 ქულა, 6 მოხსნა), აივი (8 ქულა), ლიუ (6 ქულა), მ. უილიამსი (3 ქულა), ჯ. ტომასი (2 ქულა), ბატისტა, ედვარდსი

**პორტლენდი 74:94 მინესოტა**

**პორტლენდი:** რენდოლფი (15 ქულა, 10 მოხსნა), ვებსტერი (13 ქულა), პრჟიბილა (10 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა:** შერბიაკი (19 ქულა), გარნეტი (16 ქულა, 14 მოხსნა)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**კლიპერსი 84:79 ნიუ იორკი**

**კლიპერსი:** ბრენდი (24 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), მობლი (24 ქულა), კასელი (16 ქულა, 11 პასი)

**ნიუ იორკი:** კარი (24 ქულა, 11 მოხსნა), მარბერი (12 ქულა, 6 მოხსნა), ნ. რობინსონი (10 ქულა)

**გოლდენ სტეიტი 110:118 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (28 ქულა, 6 მოხსნა), დანლიპი (21 ქულა, 9 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (17 ქულა, 9 მოხსნა)

**ფინიქსი:** ნეში (28 ქულა, 14 პასი), მერიონი (27 ქულა, 14 მოხსნა), კ. ტომასი (16 ქულა, 17 მოხსნა)

**„იუტა ჯაზს"** შინ ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო და, რა თქმა უნდა, რომ ასოციაციის მაჩანჩალა გუნდ „ატლანტასთან" მოიწადინებდა ამ თავისთვის მეტად ცუდი სერიის დასრულებას. ასეც მოხდა, ზაზა ფაჩულიამ და მისმა თანაგუნდელებმა კი წლეულს უკვე მეთექვსმეტედ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა.

ჩვენებურმა ბოლო ორი მატჩისგან განსხვავებით, უკეთესად იასპარეზა. ზაზამ 10 ქულა დააგროვა და 7-ჯერ მოხსნა ბურთი კალათიდან, აქედან სამი თავდასხმაში. ამას თან თითო მოხსნა, ჩაჭრა და დაფარებაც დაამატა, თუმც 5-ჯერ დაკარგა ბურთი. ისიც უნდა ითქვას, რომ ზაზას უფრო მეტის ჩაგდება შეეძლო, მაგრამ ცუდად შეასრულა საჯარიმო ტყორცნები — 11-დან მხოლოდ 4 მოათავსა კალათში.

„ატლანტას" წაგებების სერიას კი ბოლო არ უჩანს. არადა გუნდი არც ისე ცუდ თამაშს აჩვენებს. ჯოჯრჯიელები მატჩებს ცუდად არ



მერიონი (№31) წლეულს დიდებულად გამოიყურება

ატარებენ და ხშირად მეტოქეს ფეხდაფეხ მისდევენ, მაგრამ დასჩემდათ თამაშის გარკვეული 3-4 წუთიანი მონაკვეთის ჩაგდება, როცა მოწინააღმდეგეს წინ დიდი სხვაობით გაჭრის საშუალებას აძლევენ, შემდეგ კი დაწევა ძალიან ძნელია. თან გუნდის მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ვერაფრით ვერ შეძლო ძირითადი ხუთეულის დადგენა.

ალსანიშნავია ისიც, რომ გუნდის ლიდერები არასტაბილურად თამაშობენ. როგორღაც რიგრიგობით გამოსდით თამაში. ამას ბოლო ორი შეხვედრაც ადასტურებს. „დენვერთან" ჰარინგტონმა დიდებულად იასპარეზა, მაგრამ ჯო ჯონსონმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. „იუტასთან" კი ამ უკანასკნელმა ულიდერა გუნდს. ჰარინგტონმა მხოლოდ 11 ქულა აიღო და 6 პერსონალურის გამო გუნდს ველარ დაეხმარა მატჩის ბოლოს.

„იუტასთან" შეხვედრაში ჯორჯიელების კიდევ ერთი ცუდი თვისება დავინახეთ — ისინი ძალიან ცუდად ათამაშებდნენ ბურთს და ძირითადად პერიმეტრიდან ცდილობდნენ, მეტოქის კალათისთვის შეეტიათ. ვუდსონიც ამაზე წუხდა მატჩის შემდგომ:

„ჩვენ არ გვინდა ერთმანეთს ბურთი მივცეთ, მარტო კი ფონს გასვლა შეუძლებელია. მეტოქემ კი გაკვეთილი ჩაგვიტარა, როგორ უნდა თამაში".

„იუტას" რიგებში ჰარპრინგმა 30 ქულით გამოიჩინა თავი. ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში დგება „ჯაზის" რუსი ლიდერი ანდრეი კირილენკო, რომელმაც ორმაგი დუბლი ჩაიწერა თავის აქტივში — 14 ქულა და მისთვის მეტად უჩვეულო 10 პასი.

დიდი შესვენების შემდეგ „მინესოტას" განაცხადში გამოჩნდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი. მართალია, მას არ უთამაშია „პორტლენდთან", მაგრამ ნიკას შემადგენლობაში გამოჩენა მისასალმებელია და იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი მალე მოედანზეც გავა.

სხვა მატჩებიდან გამოსაყოფი სან ანტონიოში გამართული დაპირისპირებაა, ადგილობრივ „სპურსსა" და „მაიამის" შორის. ეს გახლდათ დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციების ფავორიტების ჯახი. ბევრის აზრით, წლეულს სუპერფინალში სწორედ ამ ორი გუნდის შერკინებას ვიხილავთ.

როგორც ამ შეხვედრამ გვაჩვენა, მაიამის სუპერფინალში გასვლაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. უკვე მერამდენად გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ ფლორიდელებს შაკილ ონილის გარეშე ძალიან უჭირთ და მხოლოდ დუეინ უეიდის თამაშით შეუძლებელია ფონს გასვლა. ამის საპირისპიროდ „სან ანტონიომ" ყველას დაანახვა, რომ მისი ფავორიტობა მოჩვენებითი არ არის. გუნდმა კვლავაც საჩემპიონო თამაში აჩვენა და „მაიამის" იოლადაც მოუგო. ტეხასელების რიგებში კი კვლავაც ამ გუნდის დამრტყმელმა ტრიომ — ტიმ დანკანმა, მანუ ჯინობილიმ და ტონი პარკერმა გამოიჩინა თავი.

ასევე აღსანიშნავია „ფინიქსის" მოგებათა სერია, რომელმაც უკვე რვას მიაღწია. არიზონული გუნდი ამარე სტუდემაიერის გარეშეც იმ თამაშს აჩვენებს, რამაც მას შარშან რეგულარული სეზონი მოაგებინა. მაიკ დანტონი კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მართლაც კარგი სპეციალისტია. ჩვეულ ფორმაში არიან შონ მერიონი და სტივ ნეში, რომელთა ანგარიშზეც ბოლო შეხვედრაში „გოლდენ სტეიტთან" 55 ქულა იყო. დანტონი ასევე კარგად იყენებს ჯო ჯონსონის მაგივრად „ატლანტადან" მიღებულ ბორის დიაოს, რომელიც თავის ახალ გუნდს კარგად შეეწყო, ხოლო წლეულს აყვანილი გამოცდილი კურტ ტომასი სამწამიანში არიზონელებს სტუდემაიერის არყოფნას ადვილად უნაზღაურებს. „ფინიქსი" წყნაროკეანური დივიზიონის ლიდერ „კლიპერს" მხოლოდ ერთი მოგებითღა ჩამორჩება.

**ქახა ლომაშვილი**



ვიქტორ სანეევის სტუმრობა და მისი სახელობის პრიზის დაწესება იქნებ სასიკეთოდ წაადგეს ჩვენს მძლეოსნობას

# სანამ სპორტის დედოფალს ჭერი თავზე დაქცევია

**დიდ** შეჯიბრებებში, განსაკუთრებით ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობა და მონაწილეთა რაოდენობა სპორტის ნებისმიერი სახეობის პოპულარობას განსაზღვრავს.

ამ თვალსაზრისით მძლეოსნობაში, რბილად რომ ვთქვათ, საქმე მაინცდამაინც კარგად ვერა გვაქვს.

ქართველი მძლეოსნები გაისად გაზაფხულზე მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებენ გამოსვლას. იმას, თუ ზუსტად რამდენი სპორტსმენით გამოვალთ ამ ასპარეზობაში, იანვარში გავიგებთ, ისე კი, ჩვენი მძლეოსნობის მესვეურნი კმაყოფილნი დარჩებიან, თუ მოსკოვში ოთხი სპორტსმენი იასპარეზებს. თებერვლის დასაწყისში ქართველი მძლეოსნები ირანის საერთაშორისო ტურნირზეც აპირებენ მონაწილეობას.

მაგრამ სპორტსმენის, ან სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარება სავარჯიშო პირობების გარეშე წარმოუდგენელია, საქართველოში კი მძლეოსნებს წვიმისგან ჭერი თავზე ემხობათ.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ბატონ ყარამან სამადაშვილის თქმით, მძლეოსნების ყველაზე დიდი პრობლემა დარბაზების და სტადიონების ცუდი მდგომარეობაა.

ვაკის მანეჟში ავდრისას ისევე წვიმს, როგორც ღია ცის ქვეშ. ეს ბაზა 1994 წელს პრივატიზებით ვილაც კერძო პირმა შეისყიდა, რომელსაც დღემდე დარბაზის გასარემონტებელი თანხა ვერ გამოუნახია.

დიდუბის მანეჟი სახურავის მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია და ზამთრის ეროვნული ჩემპიონატებიც სწორედ იქ ტარდება, მაგრამ ამ მანეჟში არ არსებობს არც ბირთვი, არც წამზომი და არც სხვა რამ ინვენტართა რესურსი ტურნირის ჩასატარებლად. ტურნირების დროს ფედერაციას ყველა ეს საჭირო ინვენტარი დროებით თავადვე მიაქვს ამ ბაზაზე.

რაც შეეხება სტადიონებს, მათი მდგომარეობა უარესადაა:

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სათადარიგო მოედნის არქონის გამო საერთაშორისო ტურნირის ჩატარება არ შეიძლება, ბორჯომის და ზესტაფონის სტადიონზე კი, ისევე როგორც თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სარბენი ბილიკები გააუქმეს და მხოლოდ საფეხბურთო მოედნები დატოვეს.

ამ პრობლემების გამო საქართველო, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებს ევროპის ყოველწლიური საკლუბო ტურნირების მასპინძლობას, რომელშიც 1999 წლიდან ვმონაწილეობთ და ეს ასპარეზობა, ისევე როგორც შარშანწინ, წლეულსაც სლოვაკეთის ქალაქ ნოვასაქტში ჩატარდება.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია წელიწადში სამ ტურნირს მართავს. ესენია: ზაფხულის და ზამთრის ეროვნული ჩემპიონატები და მსოფლიო რბენის დღე. არის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო კროსი, რომელსაც მძლეოსნობის ფედერაცია სპორტის დეპარტამენტთან ერთად შემოდგომაზე ბორჯომში მართავს.

მომავალი წლიდან განათლების სამინისტროც გეგმავს წლის განმავლობაში სამი ტურნირის: ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის ეროვნული ჩემპიონატების (88-90-იან წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის) ჩატარებას.

ამას წინათ ჩვენმა საუკუნის სპორტსმენმა კაცმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა მთავრობის წევრებთან თავისი გამოსვლის ბოლოს თქვა, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების ერთი სტადიონი მაინც უნდა აშენდესო. მისი ვიზიტისას გადაწყდა და დაწესდა ვიქტორ სანეევის პრიზი, რომლის გათამაშებაც მომავალი წლიდან დაიწყება.

იმედია, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში „სპორტის დედოფლის" ბაზების მშენებლობასა და მოვლა-პატრონობას.

**ზვიად გიორგაძე**

ცურვა

# მოკლე წყალში — დიდი ჩემპიონები

**გუშინ** იტალიის ქალაქ ტრიესტაში დაიწყო ევროპის მოცურავეთა ჩემპიონატი „მოკლე წყალში". საასპარეზოდ 37 ქვეყნის 500 სპორტსმენი ჩავიდა. მათ შორის არიან წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონები: ფრანგი ლაურა მონაუდუ (400 მ. თავისუფალი სტილით); იტალიელი ფილიპო მანინი (100 მ. თავისუფალი სტილით); პოლონელები: მარკ ვარნეკე (50 მ. ბრასი), პაველ კოჟენევსკი (200 მ. ბატერფლაი) და უნგრელი ლასლო ჩეხი (400 მ. კომპლექსური ცურვა).

ცურვის ვარსკვლავთაგან იტალიაში ვერ იასპარეზებენ მხოლოდ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ჰოლანდიელი პიტერ ვან ჰუგენბანდი, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ცისფერ ბილიკებს და პოლონელი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ოტილია ენჯეიჩაკი, რომელმაც ავტოკატასტროფაში მოხვედრის შემდეგ სულ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო ვარჯიში.

ყველაზე მრავალრიცხოვანი მოცურავით საასპარეზოდ ჩავიდა ბრიტანეთის დელეგაცია, რომელსაც 47 სპორტსმენი გამოჰყავს სტარტზე, მათ შორის, „მოკლე წყალში" მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, 35 წლის მარკ ფოსტერი. სწორედ ბრიტანელები და მათთან ერთად მასპინძლები, გერმანელები და ფრანგები ითვლებიან გუნდურ პირველობაში გამარჯვების პრეტენდენტებად.

სულ მედლების 38 კომპლექტი გათამაშდება.



რეგულარული ჩემპიონატი

# გრიპი კი არა, გული

7 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი 1:4 კალგარი**

*1:1 0:3 0:0*

1:0 მოგილნი (13), 1:1 იგინლა (19), 1:2 ფანიოფი (21), 1:3 ლენგკოუ (22), 1:4 იგინლა (33)

**მოგება** გინდა? რიცხვმრავლობა გამოიყენე. ეს ყოველთვის ამართლებს. ახლაც სტუმრებმა 4 ცდიდან 3 გამოიყენეს, „ნიუ ჯერსიმ" კი 10-დან მხოლოდ ერთი. შედეგიც სახეზეა.

აღსანიშნავია აგრეთვე „კალგარის" ლიდერ ჯერომ იგინლას თამაში, რომელმაც 9-მატჩიანი უგოლობა ერთბაშად დუბლით შეწყვიტა და ერთი საგოლე პასიც დაამატა.

**ვაშინგტონი 2:5 ნეშვილი**

*0:2 1:1 1:2*

0:1 ჟიდლიცკი (15), 0:2 ჟიდლიცკი (19), 1:2 ოვეჩკინი (23), 1:3 სალივანი (38), 2:3 კლაიმერი (49), 2:4 სალივანი (53), 2:5 ჰარტნელი (60)

**აქაც** სტუმრებმა 3-ჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, ხოლო „ვაშინგტონს", რომელიც ამ მაჩვენებლით ბოლოა ლიგაში, 10 შესაძლებლობა მიეცა და მხოლოდ ერთხელ მიაღწია მიზანს.

**კოლორადო 4:1 ბოსტონი**

*1:1 2:0 1:0*

1:0 ჰეიდუკი (12), 1:1 შტურმი (20), 2:1 ტანგეი (29), 3:1 მაკლინი (34), 4:1 ლაილსი (48)

**ყაზახეთში** თურმე კარგი მეკარეები იზრდებიან. სანხოსელმა ევგენი ნაბოკოვმა ხომ უკვე გაითქვა სახელი ლიგაში, ახლა მას ვიტალი კოლესნიკიც ემატება. აქამდე უცნობი 26 წლის გოლკიპერი „კოლორადოს" მესვეურებმა ორი ძირითადი მეკარის სუსტი თამაშის გამო გამოიძახეს ფარმკლუბიდან მან კი მოულოდნელად ფრიად დამაჯერებლად და საიმედოდ ითამაშა — 21 დარტყმიდან 20 მოიგერია.

**დალასი 4:3 ფლორიდა**

*3:0 0:3 1:0*

1:0 ლეჰტინენი (7), 2:0 სკოულა (13), 3:0 დეილი (14), 3:1 კოლნიკი (27), 3:2 ჰორტონი (29), 3:3 ნიუნდაიკი (33), 4:3 ლეჰტინენი (60)

**ჩიკაგო 2:1 რეინჯერსი**

*0:1 1:1 0:0 1:0*

0:1 პრუხა (29), 1:1 შპაჩეკი (30), 2:1 არნასონი (62)

## მარიო საავადმყოფოში დააწვინეს

**მარიო** ლემიეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ელევა. კარიერის განმავლობაში უამრავი ტრავმა მიიღო და ბევრი ავადმყოფობაც გადაიტანა, მაგრამ აქამდე გულს არასდროს უჩიოდა.

ახლა „პიტსბურგის" ლიდერმა და მფლობელმა ორი თამაში რომ გამოტოვა, თავდაპირველად მიზეზად გრიპი დაასახელეს და ეს ყველამ ჩვეულებრივად მიიღო, მაგრამ ოთხშაბათს გუნდის გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა საზოგადოებას მისი არყოფნის ნამდვილი მიზეზი გაუმხილა — არითმია!

„ვფიქრობთ, რომ მისთვის აუცილებელია, საავადმყოფოში სრული გამოკვლევა გაიაროს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს, როდის გამოვა იგი ყინულზე", — თქვა პატრიკმა და იქვე დასძინა, რომ ლემიე ხუთშაბათის თამაშს გამოტოვებს.

**სამველ ღარიბიანი**



ანტი მიეტინენი, მაიკ მოდანო და იერი ლეჰტინენი, რომელთა ტრიომ „დალასს" მოაგებინა

# მილიონი დოლარი — პრეზიდენტობის შანსი

## ილუმჟინოვმა მოჭადრაკეებს ნოკაუტი გამოუწერა და ასლან აბაშიძე გაიხსენა

*მსოფლიოს ჭადრაკში კვლავ არეულობაა. არგენტინის ქალაქ სან-ლუისში ჩატარებულმა 8-კაციანმა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონატმა ვერ გააერთიანა გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო და ჩემპიონობას კვლავ ორი მოჭადრაკე იჩემებს — სან-ლუისში გამარჯვებული ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი*



კირსან ილუმჟინოვი და მისი მეგობარი მოამედ კადაფი

**ბევრს** ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფორმატი, ნოკაუტსისტემა, არ მოსწონს, „ჭადრაკი ჩოგბურთი არ არის, თამაშისას დაშვებული შეცდომა რომ გამოასწორო, აქ ერთი შეცდომა ყველაფერს წყვეტს და ასეთი ფორმატი ჩვენთვის მიუღებელია", — განაცხადა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, რუსმა ანატოლი კარპოვმა.

ასეთი ამბების მიუხედავად, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი თავისი მუშაობით კმაყოფილია და მომავალი წლის მაისში გასამართ არჩევნებზე კვლავ აპირებს კენჭისყრას.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტს რუსი ჟურნალისტი გაესაუბრა.

**— რატომ ჩაიშალა ტოპალოვისა და კრამნიკის მატჩი, თქვენმა ჩარევამ ვერ უშველა საქმეს?**

— კრამნიკის მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. მათ ორი მილიონი დოლარი უნდა ეშოვათ და აქედან 20 პროცენტი ფიდეს ანგარიშზე დაესვათ. ნებისმიერი შეჯიბრი, რომელიც ფიდეს ეგიდით ტარდება, მსგავს პროცედურებს გადის. ჩვენს უნებართვოდ ჩატარებული შეჯიბრი კი უკანონოა და არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს.

**— ტოპალოვის მენეჯერი დანაილოვი კრამნიკს ჩემპიონად არ თვლის, არადა 2002 წელს, პრაღის ხელშეკრულების გაფორმებისას, თქვენ მას კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი უწოდეთ...**

— ერთხელ ჩვენს ჩემპიონატზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული სპორტულ შეჯიბრებებში უნდა დაიცვა და არა პრესკონფერენციებზე". მგონი სრული ჭეშმარიტებაა. ახლა ტოპალოვის სიტყვებსაც შეგახსენებთ: „სან-ლუისში ყველა ერთნაირ პირობებში ვიყავით, კრამნიკიც იყო მოწვეული, თუმც არ ჩამოვიდა. თუ ასეთი ძლიერი ჩემპიონია, მოსულიყო, ეთამაშა და მოეგო". მგონი, ეს კომენტარს აღარ საჭიროებს.

**— როგორც ვიცი, მოჭადრაკე, რომელსაც 2700-ზე მეტი რეიტინგი ექნება და საჭირო თანხას იშოვის, ტოპალოვის გამოწვევა შეეძლება. ეს ალიოხინ-კაპაბლანკას დროში დაბრუნება ხომ არ გამოდის?**

— ტოპალოვს, როგორც ფიდეს ჩემპიონს, შეუძლია, საპრეზიდენტო სხდომას დაესწროს და ამის თაობაზე საკუთარი აზრი გამოთქვას.



ვესელინ ტოპალოვი





ვლადიმერ კრამნიკი

წაგების შემთხვევაში ჩემპიონი ტიტულს კარგავს, თუმც შეპირებულ ჰონორარს მიიღებს.

**— იანვრის ახალ რეიტინგში 2700-იან ზღვარს აზერბაიჯანელი ყმაწვილი თეიმურაზ რაჯაბოვიც მიაღწევს. ესე იგი, თუ თანხა იშოვა, გამოიწვევს ტოპალოვს?**

— ჭადრაკი სანახაობრივ სპორტს არ განეკუთვნება. მხოლოდ დევიდ ბექემის ტრანსფერი გადაფარავს ყველა მოჭადრაკის ჰონორარს, ამ ხერხს კი იმიტომ მივმართავთ, რომ ხალხი მოვიზიდოთ.

**—. კრამნიკი ახალი ორგანიზაციის შექმნით იმუქრება...**

— ეს არ გვაშინებს. გახსოვთ, კასპაროვმა პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია რომ შექმნა? მისი ეგიდით ითამაშა შორტმა, ანანდმა და სხვა ბევრმა. ახლა სად არიან ისინი... ფიდეში. ასეთ ორგანიზაციებს სოლიდური დაფინანსება სჭირდება და მეეჭვება, სპონსორი ადვილად იპოვონ.

**— ფიდეს არჩევნებზე ალბათ თქვენი ერთ-ერთი კონკურენტი ჰოლანდიელი ბიზნესმენი ბესელ კოკი იქნება. არადა, ადრე მეგობრები იყავით..**

— ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ შემდეგ რაღაცაზე ვერ შევთანხმდით და განაწყენდა. მაშინ მას ვუთხარი, „მე დავდებ ერთ მილიონს, შენ მეორე დაამატე და ჭადრაკის პროფესიონალიზაციის განვითარებაზე ვიზრუნოთ"-მეთქი. „არა, მე ბიზნესმენი ვარ და ფულს თვითონ ვიშოვი"— განაცხადა კოკმა და დავშორდით. მას შემდეგ კოკი კარგა ხანს არ გამოჩენილა.

სან-ლუისში ჩემპიონატის მიმდინარეობისას ორგანიზატორებმა გამოთქვეს აზრი, რომ ვინც ფიდეს პრეზიდენტობაზე თავის კანდიდატურას წამოაყენებს, თავდებში მილიონი დოლარი უნდა ჩადოს და წაგების შემთხვევაში 20 პროცენტი ფიდეს ანგარიშზე დატოვოს. თუ მოიგებს არჩევნებს, მილიონი ფიდეს დარჩება და ეს თანხა ჭადრაკის განვითარებას მოხმარდება. მგონი, იდეა მოსაწონია და მას ალბათ უახლოეს მომავალში [illegible].

**— როდის უნდა [illegible] თანხა?**

— არჩევნებამდე 90 დღით ადრე.

**— არ გეშინიათ? ამის გამო ხომ თქვენ დემოკრატიის პრინციპების დამრღვევად მოგიხსენიებენ?**

— პოლიტიკაშიც ასე ხდება, თუ კაცს თანამდებობაზე ირჩევენ, მას სოლიდური გუნდი და ფინანსური მხარდამჭერებიც მოჰყვებიან. აბა, მარტო სიტყვით და ლამაზი დაპირებებით ვერაფერს გააკეთებ.

**— ათი წელიწადია, რაც ამ თანამდებობაზე ხართ. თუ საიდუმლო არ არის, რამდენი დახარჯეთ ჭადრაკისთვის?**

— 50 მილიონი დოლარი.

**— ამხელა ხარჯის მიუხედავად, ჭადრაკი წინ ვერ წავიდა...**

— ეს არ არის მთავარი. ბევრ მოჭადრაკეს მილიონები ვაშოვნინე, თუმც ახლა ჩემი კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებენ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე.

**— 10 წლის განმავლობაში რამდენ ქვეყანაში იყავით?**

— წელიწადში 50 ქვეყანაში დავდივარ და გამოთვალეთ.

**— ფიდე 165 ქვეყანას აერთიანებას, ყველაგან ხართ ნამყოფი?**

— სამწუხაროდ, არა.

**— რომელი პოლიტიკოსები იყვნენ ყველაზე მეტად ჭადრაკით დაინტერესებულნი?**

— იორდანიის მეფე აბდალა II, ერაყის ყოფილი მმართველი სადამ ჰუსეინი, აშშ-ის ყოფილი მდივანი ჰენრი კისინჯერი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, აჭარის ყოფილი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე, ნობელის პრემიის ლაურეატი და სსრკ-ს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და ბევრი სხვა. დაკვირვებული ვარ, რომ თითქმის ყველა პოლიტიკოსს სურს, ხალხს თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს ჭადრაკით დაინტერესებულია. ამით ალბათ თავიანთი ინტელექტის წარმოჩინება სურთ.

**— სან-ლუისში დასრულებული ჩემპიონატის შემდეგ გადაწყვიტეთ, რომ ეს მეთოდი მომავალშიც დაგენერგათ და მოჭადრაკეებსაც ნოკაუტსისტემით ეთამაშათ. არადა, მათთვის ჩემპიონატის ასეთი ფორმატი მიუღებელია.**

— ამ სისტემაზე კარგა ხანს ვიფიქრეთ და უფრო ეკონომიურია. დიდ თამაშებს ბევრი ფული სჭირდება, რაც ძნელი საშოვნელია, დიდოსტატებს კი უფულოდ თამაში არ სურთ.

**ლაშა გეგეჭკორი**

---

## მსოფლიოს თასი

### ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

# ბაკრო თანამემამულეს სამეოთხედფინალოდ გადაახტა

**გუშინ** ტაიბრეიკებში ხუთი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა.

გათამაშებას გამოეთიშა თასის აღმოჩენა, 15 წლის ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი. პატარა მოჭადრაკემ ტაიბრეიკებში პირველივე სწრაფი პარტია თეთრი ფიგურებით დათმო რუს ევგენი ბარეევთან და ფაქტობრივად მომდევნო ეტაპის საგზურის ბედიც გადაწყვიტა. განმეორებით შეხვედრაში კარლსენმა შავი ფიგურებით 49 სვლა იბრძოლა, თუმც ყაიმის მეტს ვერაფერს გამორჩა და გათამაშებაც დატოვა.

მომდევნო ეტაპზე გავიდა თასის ფავორიტი, ფრანგი ეტიენ ბაკრო. მან თანამემამულე ჟოზე ლოტიეს მოუგო 1,5:0,5.



ეტიენ ბაკრო

# დიეგო და ჩიჩო



AFP მედელინიდან

დიეგო მარადონა, თავისი ტელეშოუთი კოლუმბიურ ქალაქ მედელინს ჩასულა, იქ კი ძველი ძმაკაცი, იქაური ფეხბურთელი მაურისიო „ელ ჩიჩო“ სერნო დახვედრია. ხალისობენ, კამერების წინ, ყოველ შემთხვევაში.



AFP ბაჰრეინიდან

# დასავლეთ აზიის თამაშები

დასავლეთ აზიის მძლეოსნური თამაშები საინტერესო საცქერია. პირველივე დღეს სპარსელი ფარშიდე ნაბიზადე სიმაღლეში ხტომის ჩემპიონი გახდა. ცხადია, რეკორდები არ ყოფილა.

# მეორე

ბევრს ეცადა რუსი ოლგა ზვერევა, მაგრამ [illegible] მაინც სხვას დაუთმო, მსოფლიო თასის 15 კილომეტრიანი ეტაპი ბიატლონში რუსმა მეორემ დაამთავრა. პირველი შვედი კარიან ოლოფსონი იყო.



AFP ჰოხფილცენიდან



AP რომიდან



# ცეცხლის მოგზაურობა

ეს ოლიმპიური ჩირადღანი, რომელიც იტალიის პრეზიდენტმა კარლო აზელიო ჩამპიმ მარათონში ოლიმპიურ ჩემპიონს სტეფანო ბალდინის გადასცა, 140 იტალიურ ქალაქს მოივლის. ბალდინიმ სვლა დაიწყო, ჩირაღდანი კი სწორედ დათქმულ დროს, 10 თებერვალს შეაბიჯებს ტურინის „სტადიო კორუნალეზე“.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გაო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge